№ 3033
ოთხშაბათი,
22 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3033
ოთხშაბათი,
22 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლებისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели“.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ტფილისის ქალაქისა და მაზრის მმართველობისა და წოდებათა დაწესებულებათ, რომელთაც არ წარმოუდგენიათ ჯერ სიები იმ მსახურთა, „პა[illegible]ყევი მონაწილეობა მიიღონ ტფილისისა და ტფ. მაზრის საარჩევნო კრებებში, რაც შეიძლება მალე წარმოადგინონ ეს სიები.

რადგან განცხადებათა წარმოდგენის ვადა მალე გადის, სთხოვენ ტფილისის ქალაქისა და მაზრის ამომრჩეველთ მალე წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში ასეთი განცხადებანი.

ოტსტავნოი კოლლეჟსკი ასესორი ვლადიმერ გიორგის ძე მახარაძე და ქვრივი ეკატერინე ყუზანოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ოცს ამა მარტს მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი შვილი პირველისა [illegible] მეორესი მედიცინის სტუდენტი ხარკოვის უნივერსიტეტის მეხუთე კურსისა

კოლეჯერი ამოიღ[illegible]

დაახლიდა, რომ [illegible]

[illegible] ვლადიმერის ძე მახარაძე

პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზედ საღამოთი, თავის სახლში, აკიმოვის ქუჩა № 7. გამოსვენება 24-ს 10 საათზედ დილით ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (2—1)

იაკობ კონსტანტინეს ძე, კონსტანტინე დავითის ძე, მიხეილ და ივანე კონსტანტინეს ძენი, მარია დევანის ასული მდივანნი და ივლიტა ავალიანისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა —პირველი დაუვიწყარის მეუღლის,—შემდეგნი ძვირფასის რძლისას და ივლიტა საყვარელ შვილისას

პასიკო ბეყანის ასული მდივანისას

ორმოცის დღის გარდაცვალებას.

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია: პარასკევს, 24-ს მარტს დილით, სოფელ ვაკის უბანში, წმ. გიორგის ეკლესიაში (2–1

ახალი რესტორანი „ავრორა“

ანისი, რომელსაც „არარატი“ ეკუთვნოდა. მიხაილოვსკის ქ., ბერელაშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).

რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმლები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმლები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: [illegible] კერძი, ერთი არაყი, ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.

მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება ბილიარდები გოცის ფაბრიკისა.

(თვ.—4) პატივის ცემით ვანო და გიგო.

24, 25 და 26 მარტს

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში ბავშვებისათვის მზრუნავი საზოგადოება ჰმართავს

ბზობის ბაზარს

1) სააღდგომო კვერცხები საჩუქრებით ერთი შაურიდან 7 მანეთამდე თითო;
2) კაბინეტის სხვა და სხვა ნივთები თუჯისა, ურალიდან;
3) კუზნეცოვის ჭურჭელი, მაიოლიკისა;
4) საინტერესო სათამაშოები და ტიკინები;
5) ხეზე და ტყავზე ამოჭრილი;
6) საზოგადოების სახელოსნოებში ბავშვების მიერ გაკეთებული ნივთები;
7) რუსული ნაქსოვები ელეციდან;
8) ანკესები, თაიგულები და სხვა.

შესავალი ფასები: დიდებისათვის—20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ.

ბაზრის დასაწყისი შუადღის 12-ზე, დასრული საღამოს 6 ზე. (ი. 2—1)

მედიცინის დოქტორი

გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ.(30—53—26)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ჟ. გ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. ზ. აფეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. მ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვია ავადმყოფობანი.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
გ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. ზ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана
[illegible] противъ памятника Воронцова. (წლ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

ჰელდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. აღაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიული, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
მ. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
ბ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ბ. ა. ტატიშოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ილჩიოვი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
მ. ა. ბიიჯაკი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებითა სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადოებას ცალკე ოთახებს. (150—58)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების

„კახეთის“

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1906 წლის 5 აპრილს დანიშნულია მეორე წლიური საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზედ. ეს კრება, როგორც მეორე, თანხმად წესდებისა, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს:

წლიური ანგარიში, 1905/1906 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მოხსენება კომისიისა შესახებ ღვინის დაფასების ინსტრუქციის შეცვლაზე; საკითხი განყოფილების გახსნის შესახებ; განხილვა ინსტრუქციის შესახებ საზოგადოების საქმეების წარმოებისა; საზოგადოების ახალ წევრთა არჩევა; არჩევა სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა და გამგეობის წევრის ორის კანდიდატისა. (3—6.—1)

მედიცინის დოქტორი

ვ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე [illegible] საა.-11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50 120—4)

ქ. ქუთაისში

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელიძისა. (14—კვ.—15)

მედიცინის დოქტორი

ბ. ა. ახვერდოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემენოვსკის ქუჩა, № 20 (თვ.— 8)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. ს. ზეთანოვი

იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (80—81.—17)

ექიმი

ვ. ა. გიდალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნეულებით ავადმყოფთ, დილით [illegible] საღამოთი 5—დან—8 საათამდე. (300—5 51)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კირიჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 13, სახლი [illegible].

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

„აგრარული კითხვა“ და ჩვენი ს.-დემოკრატები

I

ვისაც რუსეთში მომქმედ პარტიების ცხოვრება აინტერესებს, ის აუცილებლად გაიგონებდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა თავისი „ჩამონაჭრების“ აგრარული პროგრამა უარჰყვეს და მიიღეს ახალი აგრარული პროგრამა, რომლის ძალითაც ისინი ეხლა გლეხებისთვის ყველა მიწებს თხოულობენ და ამ მიწების მუნიციპალიზაციის უჭერენ მხარს. ეს ახალი პროგრამა თავის თავად არც ისე ახალია, როგორც შეიძლება ეგონოთ იმათ, ვინც ჩვენებურ სოციალ-დემოკრატების „ლოზუნგებს“ მისდევენ; ეს პროგრამა არაა ახალი არც საზოგადოდ და არც კერძოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მწერლობაში. შარშან 1905 წელს პეტერბურგში უკვე მეორე გამოცემად დაიბეჭდა მასლოვის ვრცელი გამოკვლევა აგრარულ საკითხისა რუსეთში; ამ გამოკვლევის დასკვნა—სწორედ ის პროგრამაა, რომელიც, როგორც ამბობენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატებს მიუღიათ.

სოციალ-დემოკრატებისაგან ახლად მიღებული აგრარული პროგრამა ორი მეტად თვალსაჩინო მხრით განსხვავდება მათის წინანდელის პროგრამისაგან. წინად ისინი ითხოვდნენ „ჩამონაჭრების“ დაბრუნებას, რადგან მათის აზრით ასეთი რეფორმა ბატონყმობის ნაშთებს გააუქმებდა, ეხლა ისინი თვალსაჩინოდ აფართოვებენ თავის მოთხოვნას და ჩამონაჭრებთან ერთად თხოულობენ მემამულეებისა და მთავრობისაგან ყველა მიწების ჩამორთმევას. წინად სოც.-დემოკრატები ჩამორთმეულ მიწებს გლეხების საკუთრებად უპირობდნენ გადაქცევას, რადგან ასეთი რეფორმა მათის აზრით პროლეტარიზაციის, ე. ი. გაღატაკების დააჩქარებდა და სოციალიზმისთვის ნიადაგს მოამზადებდა, ეხლა ჩამორთმეულ მიწებს სოც.-დემოკრატები გადასცემენ მსხვილ ტერიტორიალურ თვითმმართველ ერთეულებს ანუ მუნიციპიებს. განსხვავება მეტად თვალსაჩინოა და, რა თქმა უნდა, ამას დასაბუთება სჭირია.

პოლიტიკურ და ეკონომიურ პროგრამის შეცვლა თავის თავად არავის არ ესაყვედურება; ცხოვრება ცვალებადია, ადამიანის გონება და ცოდნა შეზღუდულია და ამიტომ პარტიულ პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძვლად შეიძლება ან ცხოვრების პირობების შეცვლა იყოს, ან ახალი ცოდნის შეძენა და ან ორივე ერთად. მაგრამ რითაც უნდა იყოს გამოწვეული პროგრამის შეცვლა ან შესწორება, სულერთია ეს ცვლილება დასაბუთებული უნდა იყოს. როცა პარტიის იდეოლოგები გაგვიცხადებენ, რამ გამოიწვია პროგრამის შეცვლა, ჩვენ მხოლოდ მაშინ შევიძლებთ დავდოთ ჯეროვანი ფასი მათს მოქმედებას.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ მხრივ რუსეთის სოციალ-დემოკრატების გადაწყვეტილებით მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ისინი, წელიწადზე მეტია, გამწარებულ პოლემიკას ეწევიან იდეიურ მოწინააღმდეგეებთან ძველ აგრარულ პროგრამის გასამართლებლად, მათს აზროვნებაში დღემდე თითის ტოლი ეჭვიც კი არ არსებობდა, რომ ერთად ერთი ჭეშმარიტი და შესაწყნარებელი პროგრამა სოციალდემოკრატიული „ჩამონაჭრების“ პროგრამაა, და აი სწორედ ამ გაცხარებულ პოლემიკის დროს, რუსეთის სოციალდემოკრატები უბრძანებენ მათ, მხარი იცვალეთ, „ჩამონაჭრებს“ თავი დაანებეთ და მუნიციპალიზაცია დაიცვითო.

ქართველი გლეხები და მუშა თავისუფლების მოყვარეა, თავისუფლებისთვის ის გმირულად ჰღვრის თავის სისხლს და მედგრად იბრძვის დამოუკიდებლობისთვის. მაგრამ ქართველი სოციალდემოკრატი, რომელიც მუშის და გლეხის წინამძღოლობას ჩემულობს, მეტად მორჩილი არსებაა: რასაც უბრძანებენ პარტიის ცენტრიდამ, იმას უთუოდ აასრულებს, იმასაც შიუხედავად ეთანხმება თუ არა ეს ბრძანება მის საკუთარს სურვილს და აზრს. ქართველმა სოციალდემოკრატებმა სანაქებოდ დაგვიმტკიცეს თავის მორჩილების განუსაზღვრელობა საქართველოს ავტონომიის საკითხის შესახებ და ეხლა იმავ მორჩილების განუსაზღვრელობას გვიმტკიცებენ აგრარულ პროგრამის შესახებ.

ბრძანება პარტიის ცენტრიდან ერთის მხრივ და მორჩილება ქართველ სოც.-დემოკრატებისა მეორის მხრივ—აი ჭეშმარიტი მიზეზი იმისი, რომ ჩვენმა სოც.-დემოკრატებმა ეხლა სხვა ჰანგზე დაიწყეს სიმღერა მიწის შესახებ. მაგრამ ეს ისეთი მიზეზია, რომ იმის გამოცხადება და ამ მიზეზით თავის მოქმედების დასაბუთება მეტად უხერხული იქნებოდა და ჩვენმა სოც.-დემოკრატებმაც სხვა მიზეზების წამოყენება დაიწყეს. ვერ ვიტყვით, რომ მათ ძალიან ეადვილებოდეთ ამ მიზეზების გამოძებნა, მაგრამ მაინც ეძებენ. ჯერ გამოაცხადეს, სოც.-დემოკრატებისთვის აგრარული საკითხი მეტად საინტერესო საკითხიაო, თითქოს ახლად იწყობდნენ სოფლის შესახებ წერას და აგრარულ პროგრამის შეთხზვას. შემდეგ აუწყეს მკითხველებს, მასლოვის აზრები გავითვალისწინოთ ამ საგნის შესახებო, თუმცა მასლოვის აზრები კაი ხანია მოწიფდა, ჩვენი სოც.-დემოკრატები კი დღემდე იმათ ყურადღების ღირსადაც არა სთვლიდნენ. ბოლოს მეთაური წერილებიც დაიწყო „აგრარულ კითხვის“ შესახებ, თუმცა ჯერ მხოლოდ ამ წერილების პირველი ნომერი გამოვიდა და იქნება კიდევ მეორე ნომერი—ეს ალახმა უწყის.

როგორც ჰხედავთ, ქართველი სოც.-დემოკრატები ნელა-ნელა და თითქოს კონტრაბანდით აპირებენ თავის ახალს პროგრამას. კონტრაბანდა იმათთვის, რა თქმა უნდა, იმიტომ შეიქნა საჭირო, რომ ჯერ ისევ ყველას ნათლად ახსოვს, როგორის რიხით და თავგამოდებით იცავდნენ ისინი „ჩამონაჭრებს“, რა უდიერად ასხამდნენ ლაფს თავზე ყველას, ვინც-კი „ჩამონაჭრებით“ არ კმაყოფილდებოდა.

ჩვენი გაზეთი ყოველთვის შეურიგებელი მტერი იყო ჩამონაჭრების პროგრამისა და ხშირად აღვნიშნავდით ხოლმე სოც.-დემოკრატიულ პროგრამის სივიწროვეს. მაგრამ ქართველ სოც.-დემოკრატებზე ჩვენმა არგუმენტებმა გავლენა ვერ იქონიეს, ცენტრიდან ბრძანებამ კი ერთბაშად გასჭრა.

დეკემბერში ქართველი სოციალდემოკრატიული გაზეთი „სხივი“ სწერდა:

„ცნობ. ფურც.“ კიდევ ერთხელ ამხედრდა სოც.-დემ. აგრარულ პროგრამის წინააღმდეგ. დიდი ხანია ის და მისიანები გაიძახიან, ვიწრო პროგრამამ, ვიწროვო. ისინი პროგრამას უყურებენ არა პრინციპის თვალით, არამედ მადის. „ჩამონაჭრები“ არ გვეყოფა, მეტი გვინდაო, ამიტომ ისინი თავიანთ პროგრამასაც ასე აგებენ. ყველას გაკეთებას პირდებიან, გლეხებს მთელ მიწა-ადგილს ურიგებენ, ხოლო რამდენად ეს შესაძლებელია, რა კავშირი აქვს ამას მთელ თანამედროვე წარმოებასთან—არ დასდევენ. რა ენაღვლებათ, ენექსს ანდერძავით, სიტყვის მეტი რა გახარჯებათ; ჩვენ, რასაკვირველია, ავანტიურისტულ პროგრამას უარვყოფთ და ვღიარებთ პრინციპიალურ პროგრამას და სხვა (კურსივი ყველგან ჩვენია).

იმავ გაზეთის მეოთხე ნომერი ისევ აგრარულ საკითხის შესახებ განაგრძობს კამათს და ბრძანებს:

ჩვენ კითხვა გარკვეულად დავსვით: პრინციპის თუ მადის პროგრამა? პირველი ჩვენია, მეორე ფედერალისტების... ჩვენი აგრარული პროგრამა შეგუებულია ჩვენს პრინციპთან —კლასთა ბრძოლის განვითარების თეორიასთან და არა მადასთან.

ქართველ სოც.-დემოკრატების აზროვნება დეკემბერში ასეთ სიბრძნეს ჰქადაგებდა: ჩვენი პროგრამის ქვაკუთხედი —წარმოების პირობები უნდა იყოს, ამ პირობების მიხედვით საჭიროა ბატონყმობის ნაშთების გაუქმება, მაშასადამე პრინციპი მოითხოვს—წამოყენებული იქმნას „ჩამონაჭრების“ პროგრამა, მთელი მიწის მოთხოვნა—პრინციპიალური პროგრამა კი არა, მადის პროგრამაა. მადა—ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ პრინციპის კაცები ვართ, მადა ფედერალისტებისა და „ცნ. ფურცლისთვის“ დაგვითმიათ.

ვნახოთ ეხლა რას ბრძანებენ ქართველი სოც.-დემოკრატები მარტში, როცა ცენტრიდან სათანადო განკარგულება მიიღეს „პრინციპების“ შესახებ („ელვ.“ № 5):

ზოგნი ამბობენ, რომ მთელი მიწების ართმევა მეტის-მეტია, საკმარისია ამ მიწების ნაწილი ავართვათ, რომ გლეხები დაკმაყოფილდნენო (ეს „ზოგნი“ ხომ თვით თქვენვე ბრძანდებით, რატომ პირდაპირ არ ამბობთ?) კეთილი, მაგრამ რა ვუყოთ, თუ გლეხები მეტს მოითხოვენ? წინ ხომ არ გადავუდგებით და არ ვეტყვით: შეჩერდით, ამას იქით ხელი არა გაქვთო! ეს ხომ უმაგრესი რეაქციონერობა იქნებოდა! (დეკემბერში ეს პრინციპის დაცვა იყო, წარმოების პირობათა მოთხოვნა, ეხლა რეაქციონერობა გახდა!? ასე იცის ბრძანებამ, ცენტრიდამ მიღებულმა ბრძანებამ: რაც დღეს პროგრესიული პრინციპია, ის ხვალ უეცრივ რეაქციად გადაიქცევა)... გარდა ამისა, რას ნიშნავს „ნაწილის ართმევა“, რომელი ნაწილი უნდა ავართვათ მემამულეებს, ნახევარი თუ მესამედი? (იხ. თქვენი წინანდელი ნაწერები და ჰნახავთ, რომ „პრინციპის“ კაცებმა უნდა ჩამოართვან „ჩამონაჭრები“—განა დაგავიწყდათ?)...

„ელვა“ ჰგრძნობს, რომ შეეკითხებიან, რატომ აქამდე სოციალ-დემოკრატია მარტო ჩამონაჭრებს ითხოვდა და ეხლა კი უეცრივ მთელს მიწას მოითხოვსო, და ბრძანებს:

იმიტომ, ბატონებო, რომ 1903 წელს (1904 და 1905 წელს?) რუსეთის გლეხობა ჯერ ჩათრეული არ იყო მოძრაობაში. პარტიის მოვალეობა იყო, ისეთი ლოზუნგი გადაესროლა სოფელში, რომელიც გულს აუნთებდა გლეხობას და ბატონყმურ ნაშთების წინააღმდეგ აამხედრებდა...

აი თურმე სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი! „ჩამონაჭრების“ პროგრამა გულის ასანთი ნივთიერება ყოფილა, მადის გამაღვიძებელი და გლეხობის ჩამთრეველი მოძრაობაში. აკი დეკემბერში მედიდურად, როგორც „მეცნიერულ“ სოციალიზმის მიმდევრებს შეჰფერის, ისეთის რიხით ბრძანებდით: „ჩამონაჭრებს“ პრინციპი მოითხოვს, მთელ მიწას მადაო, თურმე გულში სულ სხვა გქონიათ: თურმე თქვენისავე აზრით, ჩამონაჭრების პროგრამას საფუძვლად მადის მოსაზრება ედო, მთელ მიწის მოთხოვნას კი—პრინციპი. ეს ხომ იმის ნიშანია, რომ სოციალ-დემოკრატიას აგრარულ საკითხის საქმეში განზრახ სიცრუე ჩაუდენია, სიყალბე მოუხდენია, პრინციპი დაურღვევია მადისათვის და მადა პრინციპისათვის? ეს ხომ იმის ნიშანია, რომ სოფლებში და ქალაქებში, კაბინეტებში და კრებებზე, სახლში და ქუჩაში, ენით და კალმით სოციალ-დემოკრატიის განზრახ ყალბობა გაუწევია, ხალხის გონებაში განზრახ სიბნელე უთესნია? ეს ხომ იმის მომასწავებელია, რომ დღესაც

უზრუნველ ვერა გვყოფს, დღესაც ვერ დაგვჯერებთ, რომ პრინციპებს ემსახურებით და არა სიყალბეს, რომ პირდაპირ აცხადებთ თქვენ გულის ნადებს და არა ჰმალავთ თქვენ განზრახვებს პრინციპებისა და წარმოების პირობათა სამოსელში?

ჩვენ შეგვიძლიან დაბეჯითებით მოვახსენოთ მკითხველს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია არც რუსეთში და არც სხვა ქვეყნებში ტყუილების და პოლიტიკანობის პარტია არ არის, როდესაც ეს პარტია პროგრამის მუხლებს სცვლის, ამას იგი იმიტომ ჩადის, რომ მართლა შეიცვალა აზრი რაიმე პატივსადებ მიზეზის გამო, და თუ ამისდა მიუხედავად ზოგიერთი იმისი იდეოლოგები რიგიანად და ღირსეულად ვერა ჰხსნიან პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს, ამისი ბრალი თვით ამ იდეოლოგებს უნდა დაედოთ, რომელნიც თავის თავს თეორეტიკოსებად სთვლიან, მაგრამ თეორიებთან კი მწყრალად არიან, სოციალ-დემოკრატიულ ფრაზეოლოგიით ჰკვებავენ ხალხს, ხოლო ნამდვილად კი მხოლოდ ერთს პრინციპს აღიარებენ: ცენტრიდან მიღებული ბრძანება ყოველთვის სიტყვა-სიტყვით აასრულონ და სოციალ-დემოკრატიულ ფრაზეოლოგიაში გახვეული როგორმე ხალხში გაასაღონ.

„ელვის“ თანამშრომელნი, რასაკვირველია, არ დაგვიჯერებენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ გული გვტკივა, როდესაც ვხედავთ, რა გონებრივ სიმახინჯეს ჰქმნის პარტიის ცენტრალისტური ორგანიზაცია. დიაღ, ცენტრალისტური ორგანიზაცია, რადგან უამისოდ ქართველი სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ მიადგებოდნენ ისეთს კედელს, რომლის გასანგრევადაც მათთვის საჭირო შეიქმნა „ლოზუნგის სროლა“ ეწოდებინათ იმ პროგრამისათვის, რომელსაც ჯერ ისევ გუშინ გამწარებული იცავდნენ, როგორც ერთად-ერთ პრინციპიალურს, მეცნიერულად დასაბუთებულს პროგრამას.

დასავლეთ საქართველოში

გურია, 15 მარტი. გაზეთებში დაიბეჭდა მინისტრის დურნოვოს ბრძანება, რომ დატუსაღებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა შეუდგნენ გამოძიებას ყოველ პოლიტიკურ დამნაშავის საქმისას. როგორც ეტყობა, ჩვენ გურულ მთავრობამდის ვერ მოსწვდა ეს განკარგულება და ოცდა ოთხი საათი კი არა, ლანჩხუთლები აგერ ოცი დღეზე მეტია დატუსაღებულნი არიან და ჯერ არავინ კითხულობს მათ ამბავს. გამოძიების საქმე ერთ აფიცერს აბარია, ტუსაღი კი მრავალია. ძალიანაც რომ მოინდომოს, ეს ერთი კაცი ვერ მოასწრებს ამდენ საქმის გამოძიებას. ტუსაღებს ერეკებიან და ერეკებიან სოფლებიდან ამ გაცხარებულ მუშაობის დროს, დამტუსაღებელი აფიცერი და სტრაჟნიკები ცხენებით არიან, ტუსაღი გლეხები კი ქვეითად და უნდა ირბინონ, რომ ცხენებს არ ჩამორჩნენ. თუ ჩამორჩებიან, „სტრაჟნიკის“ მათრახი სწრაფლ გაინავარდებს მათს ზურგზე.

გურიაში დაცხა, ზაფხულის დღეები დაიჭირა და მეტად ძნელია ამისთანა დროს საპყრობილეში ჯდომა, მაგრამ ვინ რას იტყვის. ისე დაიჩაგრა გურული ხალხი, რომ სათქმელადაც კი დაუჯერებელია. ამ ორი დღის წინად ჩვენ საბჭოსაკენ გავიარე და ხუთიოდე სოფლიდან ჩამოსული მამასახლისი დავინახე, თავიანთ მწერლებით იყვნენ. გამანცვიფრა იმათმა უიმედო დაღვრემილმა სახემ. ერთი ღვინისფერ ჩოხაში იყო გამოწყობილი, წვერ-შეკრეჭილი, მაღალი მხარ-ბეჭიანი, მეორე უფრო მომცრო, გურულად გამოწყობილი, მარდის მიხვრა-მოხვრის პატრონი, ცისფერ კეთილ თვალებით. უნებურად მიიპყრო ჩემი ყურადღება ამ ხალხმა და შევეკითხე, რისთვის დაგიბარეს მეთქი. ჩემ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა გავიგე, რომ პოლკოვნიკ კრილოვს დაუბარებია მამასახლისები ქალაქის თავთან, რომელმაც გამოუცხადა თურმე, პოლკოვნიკმა დამავალა, გურიის მამასახლისებმა და მწერლებმა შეადგინოთ ქაღალდი და ხელი მოაწეროთ, რომ რაც გაზეთებში იწერებოდა გურიის შესახებ, სულ სიცრუეაო. წინააღმდეგობა სიტყვით მხოლოდ ერთმა მწერალმა გაჰბედა, რამაც ძალიან აწყენინა თურმე ჩვენ „მერს“, რადგან მამასახლისები ცოტანი იყვნენ, შაბათისთვის, ე. ი. 18 ამ თვისთვის, არიან დაბარებულნი მამასახლისები და მწერლები და ვნახოთ, რას იზამენ, მაგრამ „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რასაკვირველია“-ო, უთქვამს ჭკვიან კაცს და ვინ იცის „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“-ო, იფიქრონ მამასახლისებმა. ყველაფერი, რაც გაზეთებში დაიბეჭდა, სიმართლე და ჭეშმარიტება იყო.

ჩვენის ქალაქის, ე. ი. „ნამწვავების“ თვითმმართველობამ, როგორც იყო, გამოიჩინა შესანიშნავი მზრუნველობა. ოზურგეთსაც, როგორც სხვა ქალაქებს, აქვს ბაღი, ამ ბაღში „როტონდა“, სადაც ზაფხულობით გადაიტანდნენ ხოლმე კლუბს, კლუბის წიგნსაცავს და საღამოობით ბაღში მოსეირნე ხალხი კითხულობდა გაზეთებს. ამ „როტონდას“ გარდა არის „ბუდკა“, სადაც ზაფხულობით „ბუფეტია“ და ორი შენობა, ერთი ქალების სკოლა, ხოლო მეორე საბჭოსი. ბაღი შემომსრული იყო თლილის სარებით, „რეშოტკით,“ როცა ჯარი ჩამოვიდა, რასაკვირველია, დაბანაკდა სკოლაშიაც, საბჭოშიაც და ბუდკაშიაც. მაშინ ციოდა და ამას გარდა რას დაზოგავდნენ და რაც სახლში კარები, თუ სხვა რამ მოიძეოდა, დასწვეს, შემდეგ კი, როცა სკოლიდან და საბჭოს შენობიდან გადმოსახლდნენ, მიჰყვეს ხელი ბაღის „რეშოტკას“ და მოსდგნენ წვას. ნახევარი გაათავეს და მხოლოდ გუშინ თვითმართველობა გაფხიზლდა და საოცარის მხნეობით შეუდგა ამ „რეშოტკის“ აღებას და შენახვას. შეინახა კიდეც. ეხლა-კი ბაღში სრულიად თავისუფლად დადიან ძროხები, თხები, ღორები და კამეჩები. საღამოობით როტონდაში მუსიკა უკრავს.

დღეს მოვიდა ამბავი, რომ ხერსონის პოლკი და აგრეთვე პლასტუნები გურიაში რჩებიანო, მაგრამ დანამდვილებით ჯერ არ ვიცით რამდენად მართალია ეს ამბავი.

დამსწრე

ქართლში

ზემო ქართლი. არ იქმნა და არა ეშველარა საცოდავ ზემო ქართლს! ვის იტყვით, რომ რეაქციის ფეხზედ წამოყენების შემდეგ იმის სისხლით არა ძღებოდეს?! ეხლა გაფაციცებულან და აღარ ინდობენ არაფრით, ოღონდ თავიანთი გაინაღდონ და ერთი-ათად აინაზღაურონ აქამდე დანაკლისი. თუმცა ეხლა აქეთ მშვენიერი სამუშაო ამინდებია, მაგრამ სამუშაოზედ გული აღარავის აქვს და ყველა იმას გაიძახის: „ვისთვის ვიმუშაოთ და რისთვის?! ნუ თუ იმდენი მაინც არ უნდა დამრჩეს მუშაობით, რომ ცარიელ პურით მაინც ვიკვებებოდე?!“ აღარ არის მინდვრად მუშაობა კვლავინდებურათ. ხალხს ჯერ თავისთვის ვერ მოუცლია: ყველა აქეთ-იქით დარბის, რომ მებატონე მოიშოროს როგორმე. საითაც გაიხედავთ, ყველგან შეხვდებით ჯგუფ-ჯგუფათ მიმავალ ხალხს. ესენი მიდიან მებატონეებისას, რომ მოურიგდნენ, მაგრამ დაღონებულნი უკან ბრუნდებიან.

ყველა უბედურებასთან ერთად ხალხს ძალზე აშინებენ. რომელიმე მოიჯარადრე, ან მოურავი წვა სადმე ცხენით და წასვლის დროს ეუბნება გლეხებს: „რადგან არ მიწორდებით და არ ასრულებთ ბატონის მოთხოვნილებას, აი მივდივარ და ყაზახები მომყავს თქვენდა დასარბევათაო.“ ამით შეშინებული ხალხი ფთხება, აქეთ-იქით გარბის და იხიზნებიან ტყეებში, ან და წვრიმალ სოფლებში ნათესავებთან. ამას წინად, 12 მარტს, სოფლელებმა მოჰკრეს თვალი, რომ სურამის ბოქაული ორმოცდა ათის ყაზახით ბრილში მივიდა დიასამიძეების (მიტო, მიშო და ლევანის) დასაჭერად სახლს ალყა შემოარტყეს, გაჩხრიკეს და ვერავინ ნახეს. ხალხს გამოუცხადეს, რომ როცა ეს დიასამიძენი მოვიდნენ, დაიჭირეთო. თვითონ ისევე გაუდგნენ გზას ხაშურისაკენ. ამათ მისვლა-მოსვლაში სოფელი ძალზედ შეშინდა და გაიხიზნა. გახიზვნას მოჰყვა ცუდი შედეგები: სამ-ოთხ ფეხ-მძიმე ქალს მუცელი წაუხდა. სოფელ [illegible] გლეხის ლაცაბიძის ცოლი შიშით ჭკუიდან შეიშალა და დღესაც გიჟათ არის. ბევრს ცდილობენ პატრონები, ათას გვარ წამლებზედ დარბიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა უშველიათ-რა საბრალოსთვის. სოფელს წაღვლში, გახიზვნის დროს შეყლაშვილის ცოლს გზაში ასტკივდა მუცელი, სახლში დაბრუნებაც ვეღარ მოასწრეს, ქმარმა იქავ წისქვილში შეიყვანა და მეწისქვილის დახმარებით, როგორც იყო, მოამშობიარეს. აი, ესეთი ამბები ხდება დღეს ზემო ქართლში, ყველამ ვიცით, სოფლელი ქართველი ქალი როგორი მორცხვი და მოხართეა, უცხო კაცს შეხედვითაც არ შეხედავს, პირს იხვევს და ერიდება, დღეს-კი ისე გაუხდათ საქმე, რომ არამც თუ პირის ახვევა, უცხო კაცებს აბებიავებენ კიდეცა.

სოფელ ხცისში თორმეტ მარტს ვიღაცამ მოჰკლა პეტრე სვიმონის ძე გვერდწითელი, რომელიც დიდის მემამულის თომა ციციშვილის ობლების აპეკუნად იყო და მამულსაც ის უვლიდა. სოფლელებს მასთან ყველაფერი გასწორებული ჰქონდათ და გულდამშვიდებულნი იყვნენ, რომ ჩვენს სოფელში ყაზახები აღარ მოვლენო. მაგრამ ბედმა უმტყუნათ და საქმე სულ სხვანაირათ დატრიალდა. გვერდწითლის მოკვლა და ყაზახებით სოფლის გავსება ერთი იყო. ხალხი დიდ შიშს მიეცა. ხიდისთავის ბოქაულმა გამოუცხადა, რომ კაცები არსად გასულიყვნენ, არც სამუშაოდ და არც დასამალავად, სანამ მკვლელს არ აღმოაჩენდნენ. ბავშვების და ქალების წასვლის ნება კი მისცეს. უნდა გენახათ, როგორის წივილ-კივილით გარბოდ-გამორბოდნენ თავთავიანთ ბარგი-ბარხანით. შიშით ზოგს გული უწუხდებოდა. ყაზახებს დღეში ორი სამი ძროხა უნდებათ ხარჯად. დააპატიმრეს ხრილეკია. სოფლელები მივიდნენ მოკლულის ძმასთან გიორგისთან და დასთან მატრონასთან და სთხოვეს, თქვენ ხომ დაინახეთ, ვინც იყვნენ მკვლელნიო და სთქვით, რომ ამით მთელი სოფელი გაანთავისუფლეთ და მკვლელს, რაც უნდა უყონო ვერც ისინი ასახელებენ, რადგან ვერ უცვნიათ. ამ გაჭირვებაშია ხცისი. სოფელს სხვაფრივაც ზარალი მოსდის; ოჯახში არაფერი რჩება — არც ქათამი, არც კვერცხი და არც სხვა რამე. ასე გასინჯეთ, კრუხზედაც ცარიელნი რჩებიან.

აქაური მამასახლისები მეტს არას აკეთებენ, რომ მებატონეთ ღალებს და ტყის ფულს ჰკრეფავენ. საწყალ შეშას წინად მუქთად დაჰპირდნენ, მაგრამ ეხლა ამის ფულსაც იღებენ. ბევრნი ზარალსაც ასე ედავებიან ხალხს, რომ თქვენის წყალობით ცხვარი და სხვა საქონელი იაფად გავყიდე და ამდენ-ამდენი ვიზარალეო, ვეღარ დავთესე და მოვხანი და სხვაო.

მოძრაობის შემდეგ ზემო ქართლის სამღვდელოება, თითო-ოროლა კაცის გარდა, რასაკვირველია, ცუდად არ იქცევა.

ს—გი.

ახალი ამბავი

◆ **სატუსაღო სახლები.** გენერალ-გუბერნატორთან ამ ჟამად სწყდება საკითხი საპოლიციო სამმართველოებიდან სატუსაღო სახლების მოწყობის შესახებ. ასეთი სატუსაღოები პეტერბურგსა და მოსკოვშია.

◆ **არჩევნები.** როგორც ვიცით, ტფ. მაზრის სოფლებში სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნები დაიწყო. ამ დღეებში ამ მაზრაში ცამეტმა სოფელმა აირჩია ამომრჩეველნი. არჩეულ იქმნენ: სოფელ წყნეთში—თხუთმეტი კაცი, დიდბაში—ორი, ახალ-დაბაში—ორი, დიდენაგეთში — ექვსი, საპირაშენში — ორი, ალისუბანში—ორი, პატარა ენაგეთში—ორი, ფარცხისში—სამი, ბოლგვში—ერთი, გოლთეთში—ერთი, ტბისში—ერთი, შავ-საყდარში—ორი და ჩხიკვტაში—ერთი.

◆ **ჩხრეკა.** 18 მარტს კუკიაში, ყველა ქუჩებზე, საღამოდან დაწყებული გათენებამდე, აფიცრების მეთაურობით დადიოდნენ სამხედრო პატრულები და პოლიციელთა ჩვენებით სჩხრეკდნენ სახლებს და ეძებდნენ ვიღაც კაცებს. ამ ჩხრეკვის და ძებნის დროს, ღამის ოთხ საათზე, თუმანოვის ქუჩაზე, შეიპყრეს ოთხი კაცი. ამავე ღამეს გაჩხრიკეს „სხივის“ რედაქტორი ვლ. ახმეტელაშვილი.

◆ **საქმის გადატანა.** როგორც მკითხველებმა იციან, სამოსამართლო პალატამ კაჭაროვს, კაჩაურსა, პავლიაშვილსა და ბასტრიჩევს, გადაუწყვიტა [illegible] [illegible]ში გადასახლება. ამ დადგენილებას ბრალდებულნი არ დასთანხმდნენ და საქმე სენატში გადააქვთ.

◆ **ფოსტის თავდასხმა.** გუშინ მოკლედ გვქონდა მოხსენებული ფოსტის გაცარცვის ამბავი კოჯრის გზაზე. ფოსტა კოჯრიდან გამოსულა 20 მარტს, დილის 10 საათზე. როდესაც [illegible] მანგლისის გზას შესდგომია, მ[illegible] [illegible]ერიის გაძლიერებები და [illegible] [illegible] უფროსის ბინის მეეტლე [illegible] საერიაზო დარაჯი ჩიგორიევი. ორი დარაჯი უვნებელი გადარჩენილა. იმავე დროს კოჯორში მიდენილან სხვა საერიაზო დარაჯნი; სროლის ხმა ამათ გაეგონათ მისულიყვნენ. ფოსტის გამცარცველთ ეგდოთ ტყავის ქისა 314 მანეთიანი და გაქცეულიყვნენ. შეიპყრეს ჯერ-ჯერობით ორი უცნობი კაცი, რომელთა შესახებ პოლიციას ეჭვი აქვსთ.

◆ **კატორგა რვა წლით.** გუშინ, 21 მარტს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე სამმე ალექპერ ოღლისა. პერ-ოღლის ბრალდებოდა „სიმენსის“ კანტორაში შევარდნა (შარშან 19 ივლისს), ამ კანტორის უფროსის ფრიდრიხ ამონნის მოკვლა და იმის თანაშემწის ფრიდრიხ ვეტცელის დაჭრა. სასამართლოში დამნაშავემ განაცხადა, „განჯის გუბერნიიდან ჩემს სახელზედ კანტორას გამოუგზავნეს 1500 მანეთი. მივედი რამდენჯერმე, მაგრამ ფული არ მომცეს; იმ დღეს დანიშნულ საათზე მ

ფელეტონი

საადგილ-მამულო კანონმდებლობა ახალ-ზელანდიაში.

ნ. კაბანოვისა.

ჩვენგან ძალიან დაშორებულ ქვეყანაში—ახალ-ზელანდიაში ამ ასი წლის წინად სცხოვრობდნენ თითქმის მხოლოდ ველურები, კაცი ჭამიები. ეხლა კი ახალი ზელანდია უმდიდრესი ქვეყანაა მთელ დედამიწის ზურგზე, მცხოვრებნი განათლებულნი არიან, აქვთ სამაგალითო სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება.

როგორ მოხდა ამ მოკლე ხანში ასეთი ცვლილება?

ახალი ზელანდია წარმოადგენს რამდენსამე კუნძულს, რომელთაგან ორი ძალიან დიდია. პირველად ეს ქვეყანა ევროპიელებმა აღმოაჩინეს, ამ ორას ორმოცდა-ათი წლის წინად. მაგრამ მხოლოდ ოთხმოცი წლიწადია მას აქეთ, რაც იქ ევროპიელები დასახლდნენ. პირველად იქითკენ წავიდნენ მეტ წილად ინგლისელები, სახელდობრ მისიონერები, ე. ი. მღვდლები, რომელნიც ახალ ზელანდიაში მიდიოდნენ, რომ ველურ ხალხებისათვის ქრისტეს სარწმუნოება ექადაგნათ. შემდეგ ახალ ზელანდიას ვაჭრებმაც მიაქციეს ყურადღება და ვაჭრობა გააჩაღეს ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ზოგიერთი ამავე აზრით იქვე დასახლდა.

ევროპიელთა რიცხვი თანდათან მატულობდა ახალ ზელანდიაში. აქ დასახლებულებმა ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიწები შეიძინეს. ათას დესეტინობით ყიდულობდნენ მიწას, ამასთან სულ ჩალის ფასად. მცხოვრებთა რიცხვი შედარებით მცირე იყო, მიწა კი თავსაყრელი. გარდა ამისა ველურებს ძალიან ცოტა გაეგებოდათ ფულისა და ჩამოტანილ საქონლის ფასისა; ვაჭრები ხშირად ველურებს მიწაში საქონელს აძლევდნენ. ულმერთოდ ატყუებდნენ ველურთ და ამასთან ნაყიდზე მეტს მიიზომავდნენ ხოლმე. ამ რიგად რამდენისამე წლის განმავლობაში „შეისყიდეს“ ახალ-ზელანდიის მთელის სივრცის მესამედი. რასაკვირველია, ევროპიელები ამ მიწას რომ იძენდნენ ჩალის ფასად, იმედი ჰქონდათ შემდეგში, როცა ევროპიდან ხალხი მოაწყდებოდა, მიწებს კარგ ფასში გაჰყიდიდნენ.

ამავე აზრით 1837 წელს ინგლისში დაარსდა მთელი ამხანაგობა, ერთ მილიონ ძირითად თანხით. წინად თუ ნაწილ-ნაწილ მდიდრდებოდნენ, ეხლა ერთად და ნარდად გამდიდრება მოინდომოს. ამ ამხანაგობამ სამის თვის განმავლობაში შვიდ მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა შეიძინა; რასაკვირველია ეს ამხანაგობაც ჩალის ფასად ყიდულობდა მიწებს და ულმერთოდ ატყუებდა ადგილობრივ მცხოვრებთ: ორთა შუა რიცხვით თითო დესეტინა ამხანაგობას მანეთზე ცოტა მეტი დაუჯდა. მიწა რომ შეიძინა ამხანაგობამ, ახლა ისეთ ხალხის ძებნას შეუდგა, რომელიც მოისურვებდა ახალ ზელანდიაში გადასახლებას და მიწის შეძენას ნაჭრებად. პირველი ჯგუფი ამისთანა ხალხისა (სულ ინგლისელები იყვნენ) ჩავიდა ახალ ზელანდიას 1840 წელს იანვარში. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ესარგებლნა თავის ქვეშევრდომთა დასახლებით ახალ-ზელანდიაში და იმავე წელს გამოაცხადა, რომ ახალი ზელანდია ჩემი სამფლობელოაო. მაგრამ ინგლისის მთავრობამ ვერ გაჰბედა ეს ქვეყანა ადგილობრივ მცხოვრებთა დაუკითხავად შემოეერთებინა: ახალ-ზელანდიაში მოსახლე ველურთა თემების უფროსებთან მოლაპარაკება გამართა. დიდის ხნის მოლაპარაკების შემდეგ ხელ-შეკრულობა დასდეს, რომლის ძალითაც ინგლისის მეფე ახალ-ზელანდიის მეფედაც უნდა ყოფილიყო; გარდა ამისა ახალ-ზელანდიის მთელი ადგილ-მამული ადგილობრივ თემებისა და მათ წინამძღოლთა საკუთრებად იქნა ცნობილი. მხოლოდ ინგლისის მთავრობას უპირატესობა ეძლეოდა ველურთაგან მიწის შეძენისა. ამასთანავე ინგლისის მთავრობა ადგილობრივ მცხოვრებთ აძლევდა ინგლისის მამულიშვილის ყველა უფლებებს, ე. ი. პიროვნების, სიტყვის, წერის, კრების, შეკავშირების და სინიდისის თავისუფლებას. ეს ხელ-შეკრულობა ველურთათვის, სწორედ რომ სთქვას კაცმა, სახეირო იყო, რადგან გაუქმდა წინანდელ ნასყიდობა ქაღალდები და გაყიდული მიწები ისევ წინანდელ პატრონებს უბრუნდებოდა. ამ დროიდან მიწის შეძენა შეიძლებოდა მხოლოდ მთავრობის თანხმობითა და ნებართვით. ასე დამთავრდა, ინგლისის მთავრობის სასახელოდ, მადა გახსნილ ვაჭრების მიერ მიწების ურცხვი შეძენა.

ევროპიელთა ახალ-შენების მოსაწყობად ინგლისის მთავრობა თვითონ ყიდულობდა ახალ-ზელანდიელებისაგან მიწას, რომ შემდეგ მიეყიდნა გადმოსახლებულებისათვის. ინგლისელ კაპიტალისტებს შეძენილი მიწის უდიდესი ნაწილი ჩამოართვეს და შვიდ მილიონ დესეტინის მაგიერ ოთხმოცდა ათი ათას დესეტინამდე და დაიტოვეს. განიხილეს აგრეთვე ევროპიელების უფლება უწინ შეძენილ მიწებზე და ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებები აღადგინეს. თავის თავად ცხადია, რომ ამ დროიდან ახალ-ზელანდიის დასახლება ძალიან სწრაფად მიდიოდა: განვითარდა მიწის დამუშავება და მეტადრე საქონლის მოშენება (სახელდობრ ცხვრის მოშენება), რომელიც ყველაზე სახეირო იყო: ერთის მხრით, ცხვრის მოშენება მიწის დამუშავების არა საჭიროებდა, არა საჭიროებდა დიდ-ძალ მუშა-ხელს (მუშა-ხელი კი ახალ-ზელანდიაში ძალიან ცოტა იყო), მეორეს მხრით ადვილად და კარგ ფასში შეიძლებოდა მატყლის გასაღება ინგლისში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან განვითარებულია საფეიქრო მრეწველობა.

მიწის დამუშავების და, მეტადრე, საქონლის მოშენების განვითარებით ახალ ზელანდია გამდიდრდა, მცხოვრებთა რიცხვმა იმატა; ამასთანავე გაჩნდა დიდი მამულები, თითო მამული რამდენიმე ათი ათას დესეტინას უდრიდა. ამ მამულებზე მეტ წილად ცხვარს აძოვებდნენ.

ახალ-ზელანდიის ინგლისთან შეერთების შემდეგ განაგებდნენ ინგლისიდან გაგზავნილი მოხელენი, რომელთა უფროსი გუბერნატორი იყო. მცხოვრებთ თუმცა ყოველგვარი თავისუფლება ჰქონდათ, მაგრამ პოლიტიკურ უფლებას მოკლებულნი იყვნენ, ე. ი. თავის ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ასეთ მდგომარეობას ახალ-ზელანდიელები, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდნენ და ახალ-ზელანდიის შეერთებისთანავე ინგლისთან თვითმართველობა მოითხოვეს, ე. ი. მოითხოვეს ის უფლებები, რომლითაც წინად სამშობლოში სარგებლობდნენ. ინგლისის მთავრობის საუკუნოების მწარე გამოცდილებამ დაუმტკიცა, რომ ამ შემთხვევაში ხალხს უეჭველად უნდა დაუთმოს. ამიტომაც ახალშენების მოთხოვნილება დააკმაყოფილა და 1853 წელს ახალ-ზელანდიამ მიიღო ადგილობრივი თვითმართველობა—ავტონომია, ე. ი. ამ დროიდან ახალ-ზელანდიას ახალ-ზელანდიისვე მცხოვრებთა წარმომადგენელნი განაგებდნენ. ინგლისიდან გაგზავნილ გუბერნატორის უფლება-კი თან და თან შემცირდა და ბოლოს მას ძალა თითქმის სულ დაჰკარგა. საჭიროა ამასთანავე მოვიხსენიოთ, რომ ადგილობრივ თვითმართველობის, ავტონომიის შემოღებით პოლიტიკური უფლებები, ე. ი. ქვეყნის სვე-ბედის გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცა როგორც ინგლისელ—გადმოსახლებულთ, ისე ადგილობრივ მცხოვრებთ, განათლება სწრაფად გავრცელდა ველურთა შორის და მოკლე ხანში შესამჩნევად გააუმჯობესა მათი ზნე-ჩვეულება. ახალ-ზელანდიის ეხლანდელ მკვიდრს საერთო არაფერი არა აქვს თავის წინაპარ კაცი ჭამიებთან. ინგლისის მთავრობა არ შეუშინდა და ველურთაც-კი მისცა პოლიტიკური უფლებები და ეს ღონის-ძიება არა თუ მავნებელი არ გამოდგა, პირიქით მან ქვეყნის ყოველმხრივი წარმატება გამოიწვია.

ეხლა ახალ-ზელანდიაში საქმეებს ხალხის წარმომადგენელთა პალატა (კრებული) განაგებს. ამ წარმომადგენელთ ხალხი ირჩევს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით, განურჩევლად სარწმუნოებისა, სქესისა და ეროვნებისა.

ამ რიგად ათას რვაას ოთხმოცდა ცამეტ წლიდან ახალ-ზელანდიის თვით ადგილობრივი ხალხი განაგებს. ამასთანავე იმ თვითვე გამოირკვა, რომ ჯარი საჭირო არ იყო, რადგან ახალ-ზელანდია კუნძულებზე მდებარეობს, სამარი არაფერი არავისთანა აქვს. არც თუ „შინაურ მტრების“ დასამარცხებლად საჭირო ჯარი, რადგან ქვეყანას ხალხი განაგებს და ხალხი ხომ თავის თავს არ დაუწყებს ომს. არც მოხელენი გაჩნდნენ საჭირონი, რადგან ყველა საქმეს განაგებენ ხალხის მიერ არჩეული სანდო კაცები და არა მთავრობის მიერ დანიშნულები. პოლიცია ემორჩილება ქალაქის საბჭოებს და ერობებს; პოლიციელების დანიშვნა-დათხოვნა ქალაქის საბჭოების და საერობო სამმართველოების ხელთაა, მაშასადამე, პოლიციელები ხალხის წინააღმდეგ ვერ წავლენ; პოლიციაც გაცილებით უფრო ცოტაა, ვიდრე, მაგ., ჩვენში. და აი სწორედ ამისთანა პირობებში მოხდა სასწაულთ სასწაული: რამდენიმე ათის წლის განმავლობაში ახალი-ზელანდია ყოველ მხრივ სამაგალითო სახელმწიფოდ იქცა. ეს სამაგალითო სახელმწიფო მოხელეებმა-კი არ შექმნეს, არამედ თავისუფალმა და თანასწორ უფლებიანმა ხალხმა: შეიქმნა ისეთი რამე, რაც საუკუნეების განმავლობაში არც ერთ ქვეყანაში არ შეუქმნიათ მოხელეებს.

იმ დროიდან, რაც ქვეყნის გამგეობა ხალხმა ჩაიგდო ხელში, ხალხის წარმომადგენლებმა უფრო და უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს ადგილ-მამულის საქმეს.

პირველი, რასაც მიაქციეს ყურადღება, იყო უწინ შეძენილი დიდი მამულები. შემდეგში შეიძლებოდა რამდენიმე მდიდარს ჩაეგდო ხელში მთელი ზელანდია. ამიტომაც მთავრობამ განიზრახა საზღვარი დაედო მდიდრების მადისათვის. უპირველესად ყოველისა დააწესეს განსაკუთრებული გადასახადი მიწაზე: წვრილი მესაკუთრე გადასახადს არ იხდის, მსხვილი-კი გადასახადს იხდის და თვითეულ დესეტინაზე მით უფრო მეტს, რაც უფრო მეტი მიწა აქვს. ამისთანა პირობებში დიდ მამულების შეძენა ხელსაყრელი აღარ შეიქნა.

ათას-ცხრაას წელს ახალ-ზელანდიაში მესაკუთრე საერთოდ ას-სამი ათასი კაცი იყო: ამათგან ცამეტი ათასი იყო მსხვილი მესაკუთრე, რომელნიც მიწის გადასახადს იხდიდნენ; ოთხმოცდა ათი ათასი წვრილი და საშუალო, რომელნიც გადასახადს არ იხდიდნენ.

დი, მიუტანე კვიტანცია, რომ მე 1500 მანეთი უნდა მიმეღო; ამონნმა გამომართვა კვიტანცია, მიღების ხელი მომაწერინა, მაგრამ ფული აღარ მომცა. ამაზედ ლაპარაკი მოგვივიდა. მე იარაღი არ მქონდა, ამონნმა გამოაღო შკაფი, გამოიღო ხანჯალი და ჩემთვის უნდა დაერტყა; მე გამოვტაცე ხანჯალი და დავკარი. გასაშველებლად ჩამოერია ვეტცელი, გაშველების დროს იგიც დაჭრილა. მოწამე ვეტცელმა სთქვა, რომ დამნაშავე ტყუილს ამბობს, ხანჯლით ამოვიდა თავზედ დაგვადგა, ფული მოგვეცით. კვიტანცია არა ჰქონია, ამონნს ყელი გამოსჭრა და მეც დამჭრაო. შვეიცარმა უჩვენა: ეგ თათარი რომ კიბეზედ ადიოდა ხანჯალი არა ჰქონია, და მაგოდენა ხანჯალს ვერც ჯიბეში დამალავდაო. სასამართლომ ალეკპერ ოღლის რვა წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

◆ **ზარბაზნების ჩატანა.** სოფ. ქარილიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში ზარბაზნები ჩაუტანიათ.

◆ **ხელთნაწერების შენახვა.** საქართველოს სასინოდო კონტორამ დაადგინა, ეცნობოთ ეპარქიის ეპისკოპოსებს, რომ ყველა ხელთნაწერები, რომელნიც-კი ინახება ეკკლესიებსა, მონასტრებსა, ციხე-კოშკებსა თუ კერძო პირების ხელში, ჩააბარონ საეპარქიო მუზეუმებს.

◆ **„პატრიოტი“.** 20 მარტს, საღამოს 8½ საათზე, „მადერის“ რესტორანში მიხეილის ქუჩაზე მთვრალმა კაცმა, რომელიც ევროპიულად იყო გამოწყობილი, ერთი აურ-ზაური ასტეხა. დაიწყო უშვერის სიტყვებით სოციალდემოკრატების ლანძღვა, გინება რომ აღარ გაათავა, ერთმა ლაქიამ კადნიერ სტუმარს შენიშვნა მისცა. სტუმარი გაცეცხლდა და ჯიბიდან საჩქაროდ რევოლვერი ამოიღო და ლაქიას, უეჭველია, დაახლიდა, რომ ამას თავისთვის არ ეშველა. ამ დროს ბუფეტიდან გარედ გამოდიოდა ერთი კაცი პ. ყ. ნარიკაშვილი, რომელსაც უცნობი მიუბრუნდა და შუბლში რევოლვერის ტარი ჩასცხო. სტუმარი შეიპყრეს, რევოლვერი წაართვეს და პოლიციელთ გაატანეს. უცნობს რესტორანში პატრიოტულ საზოგადოების ბილეთი დარჩა, რომლიდანაც აღმოჩნდა რომ უცნობი გვარად კრავჩენკო ყოფილა. მამა გოროდცევის მიერ ბოძებულ ბილეთის პოვნის შემდეგ დამსწრეთათვის ადვილი გამოსაცნობი გახდა, თუ სტუმარი ასე კადნიერად რად იქცეოდა, ან ჯიბეში რევოლვერს რა უფლებით ატარებდა.

◆ **ახალი გაზეთი.** როგორც გადმოგვცეს, 25 მარტიდან ტფილისში რუსულ ენა[illegible]ლიური გაზეთი „კავკაზსკია ვესტი“ ბ-ნ დავითაშვილის რედაქტ[illegible]გამომცემლობით.

◆ **სიების ხიუალბე.** რადგან პოლიციის მიერ წარმოდგენილ სიებს ქალაქის გამგეობამ თავი და ბოლო ვერ გაუგო, შეადგინა მთელი შტატი სტუდენტებისა და იმათ დაავალა აღწერა ამომრჩეველთა. სტუდენტებმა უკვე დაამთავრეს ეს მუშაობა, დარჩა მხოლოდ მე-7-ე, მე-8-ე და მე-10-ე უბანი. თუ რამდენად შეცდომით შეუდგენია პოლიციას სიები, ეს იქიდანა სჩანს, რომ მე-2-ე უბანში პოლიციის ანგარიშით 120 ამომრჩეველია ხოლო სტუდენტების ანგარიშით 480.

◆ **ხელოსანთა მამასახლისი.** 20 მარტს ტფ. ხელოსანთა კრება მოჰხდა. ასარჩევი იყო ხელოსანთა მოურავი. პირველად ბარათებით ამ თანამდებობაზე დასახელებულ იქმნენ: ბ-ნნი სერობიანცი, რაფაელოვი, მხეიძე და დეჟბეცკი. შემდეგ ამათ ყუთები დაუდგეს. ხელოსანთა მოურავად არჩეულ იქმნა ბ-ნი რაფაელოვი 60 ხმით, წინააღმდეგ 38 ხმისა. კრებას სულ 98 კაცი დაესწრო, რაიც არ ჩაითვლება წევრთა კანონიერ რიცხვად. ამის გამო ხელოსანთა ერთმა ჯგუფმა საერთო თხოვნა შეადგინა და ამ დღეებში ტფ. გუბერნატორს გადასცემენ. ისინი სთხოვენ, რომ კრება კანონიერი არ იყო, ამას გარდა ბ-ნ რაფაელოვზე ხელოსნებისაგან მრავალი საჩივარია და ამიტომ ან ახალი არჩევნების მოხდენის უფლება დაგვრთეთ, ან მოურავად დაგვინიშნეთ მხეიძე ან სერობიანციო.

◆ **მასწავლებელთა აზრი.** 18 მარტს ხმ. თავ. ვ. მიქელაძის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის სკოლების მასწავლებელთა კრება. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ტფილისში ქართულ, სომხურ და რუსულ სკოლებს გარდა უნდა დაარსდეს აგრეთვე სომხურ-რუსული და ქართულ-რუსული სკოლებიო.

◆ **ბ-ნ გურკოს განცხადება.** მიხეილის საავადმყოფოს გამგე ბ-ნი გურკო აცხადებს „ტფ. ლისტოკ“-ში, რომ ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ ადმინისტრაციის წინადადების თანახმად ადგილებს ანთავისუფლებენ საავადმყოფოში, სიმართლეს მოკლებულია. ადგილებს ანთავისუფლებენ იმის გამო, რომ მიიღონ მძიმე ავადმყოფები და იმიტომაც, რომ ერთ განყოფილებაში რემონტი უნდა მოახდინონო, ხოლო ადმინისტრაციას არავითარი წინადადება საავადმყოფოსათვის არ წარმოუდგენია.

◆ **სომხური დრამატიული საზოგადოება.** სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ სამის წლის ვადით: ა. ი. ხატისოვი, მ. მ. თუმანოვისა და გ. ცურინოვი; მათ კანდიდატებად: პ. ქ. ყარა-მურზა, ი. ა. ყორღანოვი და ექიმი მურადოვი. პიესების დამფასებელ კომისიის წევრებად: ნაფ. ვექ. ტ. ნ. იოანისიანცი, რეესტრი კაპანაკოვი, მ. ა. ჯაბარი, ბ. ათანასიანცი და არტისტი პეტროსიანცი.

◆ **ფ.-ტელეგრაფის მოხელეთა სამარხი კასსა.** ამ კასსის გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ზაიცევი (თავმჯდომარედ), ა. წინამძღვრიშვილი, პ. ასლანოვი და ფ. ბორეევიცი.

◆ **ქართული გაზეთი ბათუმში.** ბათუმში, ბ-ნ ა. ბებურიშვილის რედაქტორობით, განუზრახავთ ქართულ გაზეთის გამოცემა. სახელად ამ ახალ გაზეთს „შიკრიკი“ ერქმევა.

◆ **პატრიოტთა მანიფესტაცია.** როგორც „ელვა“-ს გაუგია, 25 მარტს ტფილისელი პატრიოტები მანიფესტაციის გამართვას აპირებენ თურმე. ეს მეორე მანიფესტაცია იქნება. პირველი, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, 22 ოქტომბერს გამართეს გოლოვინის პროსპექტზე.

◆ **„ორლეანელი ქალი,“ პოემა შილლერისა.** ერთს წელიწადზე მეტია, რაც ზემოხსენებული დრამა-პოემა შილლერისა სთარგმნა ვაჟა-ფშაველამ „ქ. შ. წ. გ. ს. გამგეობის“ დავალებით. ეს თარგმანი მოწონებული იქმნა გამგეობისაგან და სამასი მანეთიც გადაუწყვიტა მთარგმნელს შრომის ფასად, მაგრამ უფულობის გამო საზოგადოებამ ვერ გამოსცა. დღეს ეს თარგმანი მიიღო დასაბეჭდად „ცისკრის“ რედაქციამ, რომელიც მოკლე ხანში შეუდგება იმის დაბეჭდვას.

◆ **შემოწირულობა.** „ჯეჯილის“ რედაქცია გვთხოვს დავბეჭდოთ: „ჯეჯილის“ რედაქციამ დიდის მადლობით მიიღო სუსანა ასათიანის მიერ მოგროვილი ფულად 15 მ. 25 კ. და ტანისამოსი: ლაზარევის და ჯმუხაძეს მაღაზიებიდან, თამარა მაღალაშვილისაგან, წერეთლისგან, ქერდიანისგან და ელენესაგან. აგრეთვე რედაქციამ მიიღო ქ-ინ ზაალოვისაგან ორი მან. და ეკ. გ. მ—საგან ერთი მან. ფული, სულ 18 მ. 25 კ. ტანისამოსი შემოსწირეს: კნ. ნიკ. რევ. ერისთავმა, ევდუკსია ბურჯანაძემ და ბაქოდან, ე. ვ. მაროვსკიმ და თ. ეგოროვისამ.

◆ **თავ-დასხმა.** 20 მარტს, ღამის 8 საათზე, კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე იმ სახლში, სადაც კრებული სცხოვრობს, სწორედ იმ დროს, როდესაც მღ. იოსებ ბერიძე თავის ოჯახობით სტოლს მოსჯდომოდა ჩაის დასალევად, უეცრად შევარდა სამი შეიარაღებული კაცი. სწორედ ამ დროს იქვე მეზობელ მღ. გიორგი გამრეკელოვსაც დაეცნენ. ამ უკანასკნელს ფულით რვა თუმანი და ერთი ოქროს საათი წაართვეს, ხოლო მღ. იოსებ ბერიძეს შესვლისათანავე კამოდის გასაღები მოსთხოვეს. ამ კამოდში ჰქონდა შენახული, თუ რამ ძვირფასი გააჩნდა. ოქრო-ვერცხლის ნივთეულობასთან ერთად წაიღეს საკუთარი 350 მანეთი, ხოლო საეკლესიოც ამდენი. სულ თავ-დამსხმელნი ათნი იყვნენ. ზოგი შიგ შევარდა, ზოგიც ეზოს სხვა და სხვა კუთხეებში იდგა სადარაჯოდ.

◆ **ქალაქის თხოვნა.** ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქს ეპატიოს 18 ათასი მანეთი, რომელიც დახარჯა მთავრობამ იმ ჯარის ბინების დასაქირავებლად, რომელიც ტფილისში ჩამოვიდა ხალხის მოძრაობის ჩასაქრობად. გარდა ამისა ქალაქმა სთხოვა მთავრობას ანაზღაურება 20 ათას მანეთისა, რომელიც ქალაქმა ამავე საქმეს მოახმარა.

◆ მკითხველთ უწყიან, რომ ვიღაც უცნობებმა ვერაზე პოლიციელი კრიუჩკოვი მოჰკლეს. როდესაც თურმე უცნობებმა პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრეს და გაიქცნენ, მაშინ დაჭრილი შევარდნილა ვარდისუბნის ქუჩაზე სახტაროვის დუქანში და იქიდან ეზოში გასულა, სადაც მეორე ხნის შემდეგ სული დაულევია. პოლიციამ ამ საქმის გამოძიება დაიწყო და, სხვათა შორის, დააპატიმრა ხსენებული სახტაროვი, რომელიც ამ ჟამად პოლიციაში ზის და, იმ მოსამსახურეთა სიტყვით, დიდს ტანჯვას იტანს.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფ. ქალაქის საბჭომ დაამტკიცა დადგენილება გამგეობის, რომლითაც გამგეობის მოსამსახურის უკვე გარდაცვალებულის ჟეფინოვის ნაცნობ ქალებს ლუიზა სავლუკოვისას და ადელაიდა გებრადდისას უნდა მისცემოდათ 2,00 მანეთი. ეს დადგენილება არ დაამტკიცა.

◆ ვერაზე, ოლგინის ქუჩაზე, კორინთელის სახლში სცხოვრობს ტფ. სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი განძიელი. 20 მარტს, როგორც თვითონ ბ-ნმა განძიელმა განაცხადა პოლიციაში, იქმნებოდა საღამოს შვიდი საათი, ვიღაცამ ჩამოჰრეკა ამ სახლის ზარი. მოსამსახურე დედაკაცი გამოვიდა. მოსულმა დედაკაცს დაბეჭდილი წერილი გადასცა ამ სიტყვებით: „ეს წერილი შენს ბატონს გადაეცი და თუ ფულს არ გამოგატანს, ბარათი გამომიგზავნოს იმისი, რომ ჩვენგან წერილი მიიღო. ბ. განძიელმა წაიკითხა ეს წერილი, რომელიც დაახლოვებით შემდეგი შინაარსისა იყო: შარშან ზაფხულში რომ თქვენთან იოვედით სოფელს ქვიშხეთში და ფული გთხოვეთ, თქვენ გვიპასუხეთ—ეხლა ფული არა მაქვს, ქალაქში ჩამოდით და იქ მოგცემთო. აი ეხლა გთხოვთ, თქვენი დაპირება შეგვისრულოთო. წაიკითხა თუ არა განძიელმა ეს წერილი, დედაკაცს ჰკითხა, მომტანი ამ წერილისა ვინ არისო. დედაკაცმა უპასუხა: მომტანი არ წავა, ვიდრე ფულს არ ჩააბარებენ ან არა და იმას კვიტანციას, რომ თქვენ ეგ წერილი ჩაგაბარდათო. ამ სიტყვებზედ განძიელმა წამოავლო რევოლვერს ხელი და გაექანა კარებისაკენ. მომტანმა დაინახა თუ არა განძიელი რევოლვერით ხელში, გაიქცა, განძიელი გამოუდგა ქუჩაში, რევოლვერიც გაისროლა, მაგრამ ვერ მოარტყა. იქვე პოლიციელი იყო, გამოუდგა გაქცეულს და შეიპყრო. დაჭერილმა პოლიციაში განაცხადა: „მე ვარ თიანეთის მაზრიდან სოფელ ალვანიდან, ალექსი დართლოელიძე, პასპორტი არა მაქვს; ჩემი ვინაობა თუ გნებავთ, დეპეშით შეამოწმეთ, დეპეშა ჩემს ხარჯზედ გაგზავნეთო. მე ჩემის საქმისათვის მივდიოდი, განძიელი-კი რევოლვერით გამომადგაო.

◆ ქალაქის სასანიტარო კომისიას საჩივარი აღუძრავს „კრუჟოკის“ მამასახლისების წინააღმდეგ. კომისია სწერს, რომ მამასახლისები შემოწმებას ვერ ასრულებენ და „კრუჟოკის“ სამზარეულოს ისე უსუფთაოდ ინახავენ, რომ საჭმლის მჭამელები ავად ხდებიანო. ეს საქმე გაირჩევა ტფ. ოლქის სასამართლოში 14 აპრილს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 21 მარტი. დღეს, განთიადზე, ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ვაჭარს ბოკერიას; დასჭრეს და წაართვეს 50 მანათი. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ.

ქალაქის საქმეები

17 მარტი.

ამ დღეს ტფ. საბჭოს უნდა განეხილა თვრამეტი საქმე. გახდა ცხრა-ნახევარი საათი, მაგრამ კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა ვერ შესრულდა, ვერას გზით ვერ აღემატა 25 კაცსა (საჭირო იყო 27 ხმოსანი), თავმჯდომარემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა კრება გახსნა და სთქვა: ორი კაცი აკლია კანონიერ რიცხვსა და იმედია, ისინიც მალე მოვლენო, მხოლოდ ეხლავე დავიწყოთ საქმეების განხილვაო.

ხმ. **ვართანიანცი**: ბ-ნო თავმჯდომარევ, უთუოდ ბოლო მოეღოს ხმოსნების ამისთანა საქციელსა. კრება ინიშნება რვა საათისათვის, ეს ორი საათია ოცდა-ხუთი კაცი ორ კაცს ვუცდით, ეს ხომ დაბრიყვებაა ხალხისა. გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რომ შემდეგში ესე აღარ მოხდეს.

ამ სიტყვებს სხვებიც შეუერთდნენ.

ა. ხ. ბაბოვი. ეხლა ქალაქის გამგეობა სიების ადგენს იმ პირებისას, რომელთაც ნება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველთა არჩევნებში. შეგვატყობინეთ, ამ პირთა სია დაბეჭდილი იქნება თუ არა? სასურველია, უთუოდ დაბეჭდილი იყოს.

ა. ი. ხატისოვი. ვერას გზით ვერ მოხერხდება დაბეჭდვა. 25 მარტს უკანასკნელი დღეა სიების შესრულებისა. ჩემის ანგარიშით, 40,000 კაცამდე იქნება ამომრჩეველი, ამას გადაკითხვა და შესწორება უნდა. რაც უნდა მუყაითათაც მოვექცეთ, სამი დღე მაინც დასჭირდება ამ საქმეს, ისე რომ შესრულდება 27 მარტს. ამ დღიდან იწყება დღესასწაული, დადგება აღდგომა, აღდგომის შემდეგ კიდევ სამი დღე და ამ დღეებში სტამბები არა მუშაობენ. გარდა ამისა უნდა შეგატყობინოთ შემდეგი: მე ვიყავი ნამესტნიკთან, იგი დიდ-ხანს მელაპარაკა იმის თაობაზე, თუ რომელი ტომის ხალხი უფრო იქნება არჩეული. ის აზრი გამოვიყვანეთ, რომ სომხებს არსად აირჩევენ: ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიები აირჩევენ ქართველებს, განჯისა, ერევნისა და ბაქოსი-კი—უთუოდ თათრებს, სომხები-კი დავრჩებით გამოჭყლეტილები. ეს ჩვენი ამბავი დაწვრილებით მოვახსენე ნამესტნიკს, რაზედაც იმან ინება და მითხრა: შესაძლებელია და მჯერა კიდეც, რომ ეგრე მოხდეს, და თუ ეგრე მოხდა, მაშინ მე, როგორც ნამესტნიკი, იძულებული ვიქნები სხვანაირად მოვიქცე, ე. ი. საქმეს ისე დავაყენებ, რომ წარმომადგენელნი სახელმწიფო სათათბიროში ყველა ტომისაგან იყვნენ: ბრძანებას გავცემ, ქართველებმა აირჩიონ ქართველი, სომხებმა—სომეხი და თათრებმა—თათარი. რასაკვირველია, ამ დაპირებას ნამესტნიკი აღსრულებაში მოიყვანს, და სომხებიც იქნებიან ამორჩეულნი.

ამის შემდეგ უნდა განეხილათ ანგარიში შემოსავალ-გასავლისა 1906 წლის ტფილისის გამგეობისა. თავმჯდომარემ სთქვა: „გაცრუვდა ჩვენი იმე-

ამისთანა კანონის წყალობით ზოგიერთი მსხვილი მემამულე იძულებული გახდა, გაეყიდა თავისი მამული. მაგ., ერთს მემამულეს ოცი ათასი დესეტინა ჰქონდა. მთელი მიწა ცხოვრებისათვის საძოვრად იყო გადაქცეული; მუშა (მწყემსი) მხოლოდ ოცი ჰყავნდა და მხოლოდ ცხვრების გაკრეჭის დროს, ისიც მოკლე ხნით, იყო საჭირო ბევრი მუშა. დანარჩენს დროს ეს მიწა ჰკვებავდა მხოლოდ ცხვარს და თვით მემამულეს. როცა მიწას გადასახადი დაადეს, მაშინ მემამულეს დიდი გადასახადი უნდა ეძლია, ცხვრის ყოლა საზარალო გახდა და იგი იძულებული იყო მიწა გაეყიდა. მთავრობამ შეისყიდა მიწა, ნაჭრებად დაჰყო და ცალკ-ცალკე ნაჭრებად წვრილ მესაკუთრეთ მიჰყიდა. ეხლა-კი ამ მამულში სამასზე მეტი ოჯახი სცხოვრობს, მიწის დამუშავებას მისდევენ და მიწის შემოსავალი თითქმის ერთი ოთხად გაიზარდა.

დიდ მამულების შესაძენად, რათა შემდეგში ეს მამულები პატარა ნაჭრებად დაეყო და ისე მიეყიდნა მცხოვრებთათვის, მთავრობა თანდათან უფროდაუფრო მეტ ფულს იღებს ხოლმე. ეხლა მთავრობა მიწის შეძენას ხუთ მილიონ მანეთამდე ახმარებს წელიწადში.

ყველა მემამულე როდი თანხმდებოდა გაეყიდა თავისი უზარმაზარი მამულები და მთავრობამაც (ანუ ხალხმა თავის წარმომადგენელთა საშუალებით) დააწესა მიწის სავალდებულო გამოსყიდვა, ე. ი. თუ მსხვილი მემამულე არ მოისურვებდა ნებაყოფლობით გაეყიდა მიწა, მაშინ მთავრობა აიძულებდა მიწა გაეყიდა და ფასსაც საგანგებოდ ამორჩეული მოსამართლენი დაადებდნენ ხოლმე. სავალდებულო გამოსყიდვის კანონი შემოიღეს 1894—96 წლებში. ამ კანონის გამოცემის შემდეგ 4—5 წლის განმავლობაში მთავრობამ სავალდებულო გამოსყიდვით შეიძინა სამოცდაჩვიდმეტი მამული (ასოცდახუთი ათასი დესეტინა) და ამ საქმეს თექვსმეტ მილიონ მანეთზე მეტი მოახმარა. ცხადია, თუ მთავრობა ხალხურია, მაშინ იგი ფულს არ დაიშურებს ხალხის საკეთილდღეოდ.

მაგრამ არც ეს ღონისძიება აღმოჩნდა საკმაო. ამიტომ მთავრობამ განიზრახა შეეზღუდა კერძო პირების მიერ დიდ მამულების შეძენის უფლება. ამის შესრულება მით უფრო ადვილი იყო, რომ ჯერ უწინდელ კანონების ძალით მიწის შესყიდვა მთავრობის (უწინ ინგლისისა და ეხლა-კი, ცხადია, საკუთარ ხალხურის) დაუკითხავად და ნება დაურთველად აკრძალული იყო. ეხლა გამოსცეს ახალი კანონი, რომლის ძალითაც არავის შეეძლო შეეძინა მიწა ორას ორმოც დესეტინაზე მეტი პირველ ღირსებისა და შვიდას ორმოცდა ათზე მეტი მეორე ღირსებისა. თუ მყიდველს უკვე აქვს მიწა და ამასთანავე მიწა პირველ ღირსებისა ორას ორმოც დესეტინა და მეორეთ შვიდას ორმოცდაათ დესეტინაზე ნაკლები, მაშინ მას უფლება აქვს მხოლოდ იმდენი შეისყიდოს, რომ დანაკლისი შეავსოს, ისე-კი, რომ შეძენის შემდეგ მას ჰქონდეს პირველ ღირსისა არა უმეტეს ორას ორმოც დესეტინისა და შვიდას ორმოცდაათ-მეორისა. თუ ვისმეს პირველის ორას ორმოც დესეტინისა და მეორისა შვიდას ორმოცდაათ დესეტინაზე მეტი აქვს მიწა, მაშინ მას უფლება არა აქვს მიწა შეიძინოს. ცხადია, ამ კანონმა ბოლო მოუღო მსხვილ მიწის მფლობელობას. ამ კანონის გამოცხადების შემდეგ მსხვილი მიწის მფლობელობა უსათუოდ უნდა დაეცეს და ძალიან მალე სრულიადაც გაჰქრეს.

ამასთან საჭიროა შევნიშნოთ, რომ ახალ ზელანდიაში მიწა ჯერ სამყოფია, მისი შოვნა მსურველისათვის ძნელი არ არის. ცხადია, შემდეგში მთავრობა თანდათან შეამცირებს დესეტინობის იმ რაოდენობას, რომლის მფლობელობაც შეიძლება და, დასასრულ, იქნება ძალიანაც მალე, ახალ-ზელანდიის ხალხი აუცილებლად იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ მიწის მსურველს მხოლოდ იმოდენა მიწა მიეცეს, რამდენის დამუშავებაც შეუძლიან საკუთარ ძალღონით, მუშების დაუქირავებლად. წვრილი მიწათ-მფლობელობის განსავითარებლად მთავრობა შესყიდულ მიწებს უფრო და უფრო პატარ-პატარა ნაჭრებად ჰყოფს, ისე რომ ამ ბოლო დროს ეს ნაჭრები სივრცით ორმოც დესეტინას არ აღემატება.

რათა მიწის შეძენა შეეძლოთ არა მარტო მდიდრებს, არამედ ღარიბ ხალხსაც, მთავრობა მიწის ფასის შემოტანას დიდის ხნობით აცლის, აძლევს ხელ-საყრელ პირობებით სესხს იარაღის და საქონლის შესაძენად და შენობების ასაგებად. ამრიგად ღარიბებსაც შეუძლიანთ შეიძინონ არა მარტო მიწა, არამედ საჭირო მასალა და იარაღიც და არ ჩავარდეს მევახშის კლანჭებში. მსურველს ყიდვის მაგიერ შეუძლიან რამდენისამე წლით მთავრობისაგან იჯარით მიწა აიღოს; თუ მოისურვა, შემდეგში ეს მიწა შეუძლიან შეისყიდოს. მთავრობა მოიჯარადრეთაც აძლევს ხელ-საყრელ პირობებით სესხს საჭირო იარაღისა და მასალის შესაძენად. იჯარის ფასი, რაღა თქმა უნდა, ძალიან მცირეა, სრულიად არ წააგავს იმას, რომელსაც აძლევენ ჩვენში მევახშე მემამულეთ. ცხადია, ამ პირობებში მიწის იჯარით აღების მსურველი უფრო მეტია, ვიდრე იმის შესყიდვისა. მაგ. 1899 წელს მთავრობამ იჯარით მიწა გასცა ოთხმოც-და-ხუთი ათასამდე დესეტინა, გაყიდვით კი მხოლოდ ექვსი ათასი გაჰყიდა.

ამრიგად ახალ-ზელანდიის მთავრობა, როგორც ხალხის ნება-სურვილის ნამდვილი გამომხატველი, ზრუნავს, რომ მიწა ხალხის ხელში იყოს და არა მუქთახორების ხელში. ყველაზე უკეთ ხალხის სარგებლობაზე თვითონ ხალხი ზრუნავს თავის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა საშუალებით, და არა სხვა და სხვა მოხელენი; ამიტომაც არის, რომ სახელმწიფო პალატაში წარმომადგენელთ უეჭველად მთელი ხალხი, ყველა მოწიფულებული მცხოვრები უნდა ირჩევდეს.

ამასთანავე ახალ-ზელანდიაში უფრო და უფრო ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ მიწა არ შეიძლება კერძო პირს ეკუთვნოდეს, თუნდაც ეს კერძო პირი წვრილი მესაკუთრე (გლეხი) იყოს არამედ იგი მთელ საზოგადოების საკუთრება უნდა იყოს; მიწა საზოგადო, საერთო უნდა იყოს.

რათა ეს აზრი განახორციელოს, ცხოვრებაში გაატაროს, რათა ნამდვილად მოსპოს კერძო საკუთრება მიწაზე, ახალ ზელანდიის მთავრობა შესყიდულ მიწას ამ ბოლო დროს იჯარით მოკლე ვადით კი არ აძლევს არამედ ეგრედ წოდებულ საუკუნო, სამუდამო იჯარით (ან როგორც იქ ხმარობენ ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტის (999) წლით). 1899 წელს იჯარით გაცემულ ოთხმოც ათას დესეტინიდან, ნახევრამდე სამუდამო იჯარით იყო გაცემული; ამ გვარად, მიწის მესაკუთრე სახელმწიფოა, მიწის მფლობელი კი მხოლოდ მოიჯარადრეა. სამუდამო იჯარით გაცემულ მიწის გამოსყიდვა ყოვლად შეუძლებელია, სახელმწიფოს გარდა მიწას ვერვინ დაისაკუთრებს და რადგან ახალ ზელანდიაში არსებობს კანონი მიწის სავალდებულო გამოსყიდვისა, მთავრობას, თუ მოინდომა, შეუძლიან შეისყიდოს თან და თან ყველა კერძო მიწები და საზოგადო, საერთო საკუთრებათ გახადოს.

ამის გარდა ახალ-ზელანდიაში (და მეზობელ ავსტრალიაში) ის აზრი იკიდებს ფეხს, რომ მიწის შემუშავება საერთო ძალ-ღონით უნდა სწარმოებდეს. თვითონ მთავრობა ხელს უწყობს ამას იმით, რომ მიწის იჯარით გაცემაში უპირატესობას აძლევს ამხანაგობებს, საზოგადოებებს და არა კერძო პირთ. ცხადია, ეს ამხანაგობანი ნება-ყოფლობით არსდება; ამ ამხანაგობაში არ არის ურთიერთ თავმდებობა, როგორც, მაგალითად რუსულ ობშჩინაში. ამხანაგობა იქ თვითმმართველია, თვითონვე განაგებს თავის საქმეებს, რისთვისაც ამხანაგობის წევრნი თავიანთ წრიდან ირჩევენ გამგეობას, საბჭოს; ეს საბჭო ამხანაგობის საქმეებს უძღვება. თვითეულ ამხანაგობას, საზოგადოებას აქვს საზოგადო საწყობი, სადაც ამხანაგობის წევრნი თავიანთ ნამუშავარს ინახავენ. ამ საწყობიდან თვითეული იმდენს იღებს, რამდენიც სჭირია, დაოჯახებული, მაშასადამე, მეტს იღებს, ვიდრე მარტოხელა კაცი ან ქვრივი. ამისთანა ამხანაგობაში შრომა საერთოა, საზოგადო: საბჭო ამხანაგობის ყოველ წევრს რაიმე სამუშაოს მიუჩენს, ხვნა-თესვა იქნება იგი, მორწყვა თუ სადგომების აგება და წევრიც ასრულებს მინდობილ საქმეს. რაღა თქმა უნდა, ამისთანა ამხანაგობაში არამც თუ მიწა, არამედ ყველა საწარმოვო იარაღი, სასოფლო სამეურნეო იარაღი, მუშა-საქონელი საზოგადო, საერთოა. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ამისთანა ამხანაგობანი ახალ-ზელანდიასა და ავსტრალიაში ჯერ ისევ მრავლად არის.

ზემორე ნათქვამიდან შეიძლება კაცმა დაინახოს, თუ საითკენ წავა მიწის კანონმდებლობა ახალ-ზელანდიაში და ბოლოს მიწის სარგებლობის რა წესი დამყარდება.

მთელი მიწა სახელმწიფოს, მთელ ხალხის საკუთრებად უნდა გახდეს. ყველას მხოლოდ იმდენი მიწა ეძლევა, რის დამუშავებაც შეუძლიან თავის ძალ-ღონით. ხალხისაგან არჩეული კაცები გაანაწილებენ ამ მიწას სოფლებსა და საზოგადოება-ამხანაგობათა შორის, მცხოვრებთა მიხედვით. ამხანაგობები სოფლებში მიწას საერთო ძალ-ღონით, საზოგადო იარაღით და საზოგადო, საერთო ბლომა საქონლით დაამუშავებენ. პურსა და სხვა ნაწარმოებს საზოგადო საწყობში შეაგროვებენ. აქედან კი წევრთა შორის განაწილდება იმისდა მიხედვით, ვინ რამდენს მუშაობს და დიდია თუ პატარა წევრის ოჯახი. ეს საზოგადოებანი სრულიად არ წააგავან ჩვენს ეხლანდელ გლეხთა საზოგადოებებს, წევრი არ არის მიწაზე მიჯაჭვული, ყველას შეუძლიან გაანებოს თავი საზოგადოებას, შეუძლიან აგრეთვე შევიდეს საზოგადოებაში, ურთიერთი თავმდებობა იქ არ არის. მიწის იჯარის ფასის გარდა იქ სხვა არაფერ გადასახადს არ იხდიან. ეს იჯარის ფასი სახელმწიფოს ეძლევა, ძალიან მცირეა და გაიღება საზოგადო თანხიდან, მიწის საერთო შემოსავლიდან. ამისთანა პირობებში ყველას, ვინც კი მოისურვებს, შეუძლიან მიწის დამუშავებას მიჰყოს ხელი. საზოგადოება მიწას და შეძლებას მისცემს საქმის მოსაწყობად, მით უმეტეს, რომ მიწა და სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ბლომა საქონელი კერძო პირს კი არ ეკუთვნით, არამედ საზოგადოებას. მთელი საზოგადოება სარგებლობს, ე. ი. მიწა საზოგადოა, მიწას საზოგადო, საერთო იარაღით და საქონლით ამუშავებენ. ცხადია, ამისთანა წესწყობილებაში არ არის არც მემამულე და მევახშე და არც ღარიბ-ღატაკი; არ არის შიმშილი და გლეხის სიღატაკე.

აი, როგორ ვითარდება ახალ ზელანდიის ბედნიერ კუნძულზე მიწის კანონმდებლობა, აი, როგორი წესწყობილებისაკენ მისწრაფვის იგი.

ე. კარბელაშვილი.

დები, ხმოსნების მომატებას ველოდით, მომატების მაგიერ, ოცდა-ხუთის ხმოსნის მაგიერ, ეხლა თვრამეტი დარჩა, იძულებული ვარ კრება დავხუროვო“.

ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ხმოსნების ამისთანა ქცევას. მოდი და ამისთანა „მოღვაწეებს“ მიანდე ამოდენა ქალაქის ბედ-იღბალი?

წერილები პეტერბურგიდან

ჰაერი მძიმდება.

სატახტო ქალაქში ჰაერი მძიმდება, ივსება ელექტრონით... ასეთ გარემოებას ბანს აძლევს სხვა და სხვა კუთხენიც. ბანი ისმის იქიდანაც-კი, სადაც სუფთა ჰაერს ზარბაზანთა გრიალი არყევდა და ცეცხლ-კვამლი სწამლავდა...

ასედაც უნდა მომხდარიყო... ყველა მიზეზებს რომ თავი დავანებოთ, ბრა კმარა განა შმიდტის დახვრეტა და ასეთ საშინელ სასჯელის სისრულეში მოყვანის დღეს ბატონ დურნოვოს დარბაზში 600 კაცისათვის მომხიბლავ ბალის გამართვა. ეს კონტრასტი რუსეთის მთელმა მოწინავე საზოგადოებამ, რომელიც გაიძახოდა: „ნუ ჰკლავთ შმიდტს, მოსპეთ საზოგადოდ სიკვდილით დასჯაო“, მიიღო პასუხად. ერთ და იმავე დღეს სევასტოპოლში გაისმა თოფის ზარდამცემი ხმა, ძირს დაეცა პატიოსნებით სავსე, თავ გამოდებული ადამიანი, აქ, პეტერბურგში კი, ისმოდა გულ-წარმტაც მუსიკის ხმა, ხმა სიხარულით სავსე... შმიდტის შემდეგ საცოდავს, მრავალ-ტანჯულს და მხეცურად გაუპატიურებულს სპირიდონოვის ქალსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს...

ყოველივე ეს არის პასუხი, პასუხი... „მოისპოს სიკვდილით დასჯა“, — კითხვა და ხვეწნა საზოგადოების.

ყველა ამას დაუმატეთ დაუსრულებელი ჩხრეკა, ციხე, დაპატიმრება სახელმწიფო სათათბიროსათვის ამოსარჩევ კანდიდატებისა, ჟანდარმების უფლების გაფართოვება, პოლიციის გარდამეტებული მზრუნველობა, შორეულ ჩრდილოეთში მთელი ინტელიგენციის გადასახლება და სხვა და სხვა... აი, მიზეზნი გულსაკლავნი და ჰაერის ელექტრონით ამვსებნი .. ისმის შორეული გამოძახილი დაფარულ გრგვინვისა, მოახლოვებას ჰგრძნობს ყველა, — მთავრობა ისე, როგორც ხალხი... მთავრობა არა ზოგავს უკანასკნელ ძალას შორეულ ხმის დასათრგუნავად. იგზავნება ყოველ მხარეს დასაწყნარებელი საშუალებანი...

წითელ ტილოზე დიადი მხატვარი — ისტორია, დრო, ამზადებს საღებავებს ახალ სურათის დასახატად, რომელსაც დაერქმის „ახალი ცხოვრება“ ანუ „სინათლე“.

ასეთ დროს მინისტრები ურთ-ერთ შორის ინტრიგებსაც ანვითარებენ. ეს რასაკვირველია — ყველგან და ყოველთვის ყოფილა, მაგრამ აქ სულ სხვა ელფერი ედება ამ ინტრიგებს.

ამ დღეებში გავრცელდა ხმა — ვიტტე სამსახურს თავს ანებებსო. ეს ხმა დიდ საიდუმლოების ბურუსით არის დაფარული, მაგრამ ასეთი ამბავი დიდ-ხანს არ იმალება. ეხლა ვიტტეს თავის წრეში ეკარგება მნიშვნელობა, რადგან ფული ვერსად ვერ იშოვა. ამ გარემოებამ ვიტტეს ნიადაგი დიდად შეარყია. გარდა ამისა, როგორც გამოაშკარავდა, მეტად საინტერესო ინტრიგას ჰქონია ადგილი მინისტრთა შორის. ჯერ მინისტრად ყოფილს კოკოვცევს, რომელსაც პრემიერ-მინისტრად ასახელებენ ეხლა, „დონოსი“ წარუდგენია ხელმწიფისთვის. ამ მოხსენებაში ვიტტეს მოქმედების გარჩევაა. სხვათა შორის მოხსენებაში ნათქვამია: „ვიტტემ ერთს საზოგადოებაში რუსეთის კონსტიტუციის სადღეგრძელო დალიაო“. ამ „დონოსს“ უმაღლესს წრეებში დიდად უმოქმედნია.

მეორე ინტრიგა ვიტტეს და დურნოვოს შორისაა. თურმე ცალკ-ცალკე ერთმანეთს ორმოს უთხრიდნენ. ვიტტეს სურდა დურნოვოს დათხოვნა, დურნოვოს-კი ვიტტეს თავიდან მოშორება. ასეთ ნიადაგზე მუშაობდა ორივე. როგორც ამბობენ, — მიზანს მიაღწიეს კიდეც, დურნოვოც თავს ანებებს სამსახურს ვიტტესთან ერთად, — ერთსა და იმავე დროს მიდიან. ალბად ძალიან კარგი რეკომენდაცია გაუწევიათ ერთმანეთისთვის, სადაც საჭირო იყო.

დურნოვოს უთქვამს: „როდესაც მინისტრის პორტფელი მივიღე დიდი არეულობა იყო რუსეთში, დღეს კი ჩემის შრომის წყალობით სიმშვიდე ჩამოვარდა. მივაღწიეთ ჩვენს წადილს, გავაკეთე რაც საჭირო იყო. აწ სინიდისის ქენჯნისა არ მეშინიან, ჩემი ვალი პატიოსნად შევასრულე და დამშვიდებული ვანებებ თავს მინისტრობასო“...

სწორედ ჭეშმარიტებას ბრძანებს მეოცე საუკუნის ღირსშესანიშნავი მინისტრი...

ერთი რამ კიდევ მინდა მოგახსენო, მკითხველო. მინისტრთა საბჭოში ამ დღეებში მომხდარა მეტად საინტერესო ამბავი.

სწავლა-განათლების მინისტრს ტოლსტოის უთქვამს: შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელენი „შავ რაზმს“ იარაღს აწვდიანო. დურნოვოს მოსვლია გული და შეუნიშნავს: პროფესორები რევოლიუციონერებს იარაღს ურიგებენო. ასეთი აზრი წარმოითქვა მინისტრთა საბჭოში. რომელი აზრი უეჭველია, ადვილად მიხვდებით. ვიტტეს და სხვა მინისტრებს საბუთი მოუთხოვნიათ. ტოლსტოის და დურნოვოს სიტყვა მიუციათ, რომ ამ მოკლე ხანში საბუთებს წარმოვადგენთო.

ჰაერი მძიმდება, ელექტრონით ივსება, ისმის შორეული გრგვინვა... მეორე მხარე-კი ინტრიგით იკვებება... ინტრიგები იმარჯვებს, მაგრამ ჰაერი მაინც მძიმდება და ნელა ივსება ელექტრონით ..

პირველი ძლიერი გრგვინვის გამოძახილი დღეს, 12 მარტს, მოგვესმა ყველას; მალე, როგორც ამბობენ, საერთო გაფიცვა მოხდებაო... **მალაქია ბოლქვაძე.**

წერილები

კახეთი. მკითხველთათვის უკვე ცნობილ ყაჩაღთა ბრბოს ლეკ უსუფას უფროსობით 24 თებერვალს ხალხის გაძარცვის და 3 მგზავრის მოკვლის გარდა კიდევ მოეკლა ტურის ციხესთან ბეითლის ფერშალი და ენისელელი გლეხ-კაცი, რომელსაც ტყეში კიდო ეპრა. ამის შემდეგ უფრო გაცხარებული დევნა დაუწყეს. რამდენსამე ალაგას სროლაც მოუხდათ, რომლის დროს ერთი ყაჩაღი მოეკლათ, ავაზაკთა მეთაური უსუფა დაეჭრათ და, როგორც ამბავი მოვიდა, კაბალოში შეუპყრიათ კიდეც, ხოლო ერთი მათგანი, ალმატელი ტაო, თავის ნებით გამოცხადდა შილდაში ბოქაულთან. 4 მარტს ჯერ თავ. ჯორჯაძესთან მივიდა ს. საბუეში, ჩემის ნებით უნდა გამოვცხადდე, თუ არ მომკლავენო და ეთხოვა, შეატყობინე ბოქაულსაო. თავ. ჯორჯაძეს სიტყვა მიეცა, ოღონდ გამოცხადდი, ხელს არავინ გახლებს და ცოცხალი მიგიყვანთ ციხეშიო და ბოქაულისთვის კაცი გაეგზავნა. ტაო-კი შინ წასულა დედასთან გამოსამშვიდობებლად, დედას ქვითინი დაეწყო, მაგრამ ტაოს ენუგეშნა, ნუ სტირი, ძაღლი ძაღლის ადგილას უნდა წავიდესო, და წამოსულა თ. ჯორჯაძისას, სადაც ბოქაული დახვედრია. აუყრია იარაღი, შეუგზავნია და თვითონაც შესულა. მაშინვე გაუყრიათ ბორკილი და მეორე დღესვე თელავის საპყრობილეში ჩაამწყვდიეს. ტაოს თხოვნით, რადგან პატიოსანი სიტყვა აეღო თავ. ჯორჯაძისაგან საპყრობილემდე მიმიყვანეო, ჯორჯაძემ მართლაც მიაცილა.

გავაზში რომ სროლა ჰქონიათ, ზოგი სიღნაღის მაზრაში გადასულა, ტაო-კი თავის სოფელში დაბრუნებულა გამოსაცხადებლად. იგი სულ ახალგაზრდა, 21—23 წლისა იქნება, შუა ტანისა და ბრგე ბიჭია. როგორც გადმოგვცეს, ჯერ მეცხვარედ ყოფილა, მერე უსუფას და ცნობილ ბეგაიას წაუყვანიათ თავისთან ამხ ნაგად. უსუფას რაიონი ზაქათალის ოლქი და სიღნაღის მაზრა ყოფილა, მაგრამ რადგან იმ სოფელში, სადაც ავაზაკთა ბრბო იფარავდა თავს, ყაზახები ჩაუყენებიათ, უსუფა ზემო მხარეს წამოსულა ფულის საშოვნელად. შეედგინა უკვე ცნობილი ბრბო, თვითონ იყო უფროსი და მეტად მკვეხრადაც იქცეოდა თურმე, იმის ბრძანებას ვერვინ გადაუდგებოდა. უსუფა დაეჭრა შილდელ მონადირეს იმ დროს, როცა იგი ლოცულობდა. მერე დაჭრილი რომ გაქცეულა, მაშინ მოეკლა ბეითლების ფერშალი ცხენის გულისთვის. ამასთან ერთი ქალი უნდა მოეტაცა თურმე, რომელსაც ტყის პირას ღანძილი ეგლიჯნა. მაგრამ წინადვე ტაო მისულიყო, დაეწყო ლაპარაკი, და უსუფას რომ ბრძანება გაეცა, დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო, ტაოს ეთქვა, ჩემი დაა და ამნაირად გადარჩენილიყო ეს ქალი.

ამბობენ ავაზაკთა ბრბოს ერთმანეთში რაღაც განხეთქილება მოუვიდათ და იმისთვის დაქსაქსულან, თორემ იშვიათია ამისთანა ხელ-აღებული ავაზაკი, როგორიც ტაო იყო, თვითონ გამოცხადებულიყო. ტაოს საქციელზე ბევრ რასმე ამბობენ, სხვათა შორის იმასაც, რომ ერთხელ ბეგაიასთან და ამხანაგებთან ერთად მხოლოდ იმით დაახწია თავი გაცხარებულ სროლას და დაჭერას, რომ ნაბადი დააყენა ყაბალახ წამოკრული, რომელსაც მიზანში იღებდნენ და თვით კი გაიპარაო. **დევი.**

საინგილო. ეს ორი წელიწადია ნუხის მაზრა და ზაქათალის ოლქი აწიოკებულია ავაზაკებისაგან. საწყალი გლეხი სამუშაოდ ვერ გადიოდა: კამეჩებს ართმევდნენ, სძარცვავდნენ და ხშირად სიცოცხლესაც უსპობდნენ, უმეტესი ნაწილი ამ ავაზაკებისა ციმბირიდან გამოქცეულნი იყვნენ. ამ რამდენსამე დღეში ექვსი ინგილო მიმავალა ზაქათალას ცხენებით. შეხვედრიან ექვსი მსწრაფლ-მსროლელ თოფებით შეიარაღებული კაცი. ექვსსავე მშვიდ მგზავრს ცხენები და რაც ფული ებადად წაართვეს ავაზაკებმა.

14 მარტს კახის ნაწილის უფროსს, ლ. რ. ყანჩელს, შეუტყვია, რომ ალიაბადის საბოქაულოდან იმის ნაწილში გადმოსულა ექვსი ავაზაკი და გამვლელ-გამომვლელთ ელოდება. მაშინვე გაქანებულა, სროლის დროს სამი ავაზაკი იქვე მოუკლავთ, ხოლო სამი გაქცეულა, მათგან ერთი დაჭრილა. ამავე დღეს, როგორც გავრცელდა ხმა, მოუკლავთ ბელაქნის საბოქაულოში სამი ყაჩაღი ბელად უსუფითურთ. ამ უსუფამ წარსულს ზაფხულს გაძარცვა მღ. დიმ. ჯანაშვილი, რომელიც მას შემდეგ ჩაწვა ლოგინში და განუტევა სული. ეხლა ჩვენებური გლეხი ცოტად თუ ბევრად თავისუფლად შეუდგება მუშაობას. **ექაური**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

20 მარტი

პეტერბურგი. „სვეტი“ იუწყება, გრაფ ვიტტეს ავადმყოფობა ნერვების აშლისა და იმ აუტანელ რეჟიმის ბრალია, რომლის დროსაც უხდება გრაფს მუშაობა. არის ისეთი დღეები, როცა იგი 20 საათს მუშაობს დღე და ღამეში და მხოლოდ გათენებისას ჩაძინება მძიმე ავადმყოფივით. 10 საათიდან გრაფი უკვე ფეხზეა. ყოველი მხრიდან აუარებელი ჩივილი მოსდის და ესაა, რომ საშინლად უშლის მას ნერვებს. ძლიერ სამძიმოა მისთვის აგრეთვე სხვადასხვა დეპუტაციების მიღება. დღე და ღამის განმავლობაში აუარებელი საქმე უგროვდება პრემიერს, რომელსაც ყველაფერი ცალკე წიგნში შეაქვს ხოლმე. ამბობენ, რომ ამ დღეებში გრაფს მოგილევის ებრაელებიდან დეპეშა მოუვიდათ, რომ იქ ებრაელების გაჟლეტას ემზადებიან და ზომები მიიღეთო. ვიტტეს დღისით დაავიწყდა განკარგულების მოხდენა და გაახსენდა ღამით, დასაძინებლად დაწოლის დროს, წამოვარდა ზეზე და დაუყოვნებლივ მიახდინა ტელეფონით საჭირო განკარგულება. ექიმების საერთო აზრი ისეთია, რომ გრაფი ხანგრძლივ დასვენებას საჭიროებს.

პეტერგოფსა, ორანიენბაუმსა და სტრელნაში კადეტებმა გაიმარჯვეს სათათბიროს დეპუტატების ამომრჩევლების არჩევაში.

პოლტავა. „პოლტავშჩინა“-ს რედაქტორ კოლოვინსას 3 კვირის ციხე და 50 მან. დაჯარიმება მიუსაჯეს იმისთვის, რომ მან მოათავსა თავის გაზეთში მოწოდება პორუჩიკ ნაიტენისთვის ბიოკოტის გამოსაცხადებლად.

ასხაბადი. შუაგულ აზიის რკინის გზაზე შეიარაღებული კაცები დაეცნენ ტაშკენტიდან ასხაბადს მომავალ საფოსტო მატარებელს, შეიჭრნენ საფოსტო ვაგონში, მოჰკლეს ორი მოხელე და და ფოსტას მხლებელი, წაიღეს ფულიანი კორესპონდენციები და მიიმალნენ.

ვოლკოვისკი. ციხიდან 4 პოლიტიკური დამნაშავე გაიქცა.

ნიუ-იორკი. ამერიკის ვაჭრები მხარს უჭერენ ვენეცუელის შეთქმულებს კასტროს წინააღმდეგ. 3.000 ინგლისელი და 2,000 ამერიკელი მიდიან ევროპის პორტებიდან იარაღით დატვირთულ გემებზე, იმათ იმედი აქვთ, რომ მათ 10,000 ვენეცუელი შეუერთდება. შეთქმულების მიზანია ვენეცუელის გახსნა მსოფლიო ვაჭრობისათვის.

ვარშავა. ელექტრონის საზოგადოების კომპანიის კანტორაში შეიჭრნენ შეიარაღებულები, წაართვეს იქ მყოფთ ფულები და საათები და მიიმალნენ.

ორიოლი. მეშჩანსკი ქუჩაზე აღმოაჩინეს ბარონოვის ბინაზე საიდუმლო სტამბა, შრიფტი და დამზადებული პროკლამაციები სოც.-დემოკრატიულ პარტიისა. დაიჭირეს ბარონოვი და 2 მდგმური.

მოსკოვი. მოსკოვის მაზრის არჩევნებზე ყველა ამომრჩევლებად კადეტები გაიყვანეს.

ადესა. ნოვოროსიის უნივერსიტეტში სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებად აირჩიეს პროფესორები: დანგე, ვეროგო და პეტრაშვილი, ყველანი პროგრესისტები არიან.

მოასკატი. სპარსეთის ყურეში ინგლისის სამხედრო გემები იმყოფება; ეს გემები ბასორისაკენ მიემგზავრებიან, სადაც ორი ინგლისელი მოუკლავთ.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

19 მარტი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებად აირჩიეს: კიევის გუბ. თ.-აზნაურთაგან გუბერნიის მარშალი ბუდიჩევი და ყოფილი წინამძღოლი აისოვსკი; კიევის უნივერსიტეტიდან: რექტორი ციტოვიჩი — ოქტომბრისტი, პროფესორი არმაშევსკი — უფლებრივ პარტიის წევრი და სამოქალაქო სჯულდების (право); პროფესორი გულიავი — კონსერვატორი; სათათბიროში ამომრჩევლებად აირჩიეს: ორჯევეში — მღვდელი, 2 საერობო უფროსი, 6 აზნაური, 4 პროგრესისტი და 1 კადეტი, დანარჩენები სულ კონსერვატორებია; ბელევში: თ.-აზნაურთა წინამძღოლი, გამგეობის თავმჯდომარე, 3 აზნაური და 3 გლეხი — ყველანი კონსერვატორები არიან; ჩერკასში — 99 გლეხი, 4 მღვდელი და 2 მემამულე; კამიშინში — 8 გლეხი — ზომიერი პროგრესისტები; სარანსკში თ.-აზნაურთა წინამძღოლი, საერობო უფროსი და მღვდელი — ყველანი დამოუკიდებელი პროგრესისტებია; ბელოგრადში — წინამძღოლი, სამოსამართლო პალატის წევრი, სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე, საგუბერნიო გამგეობის წევრი, ყოფილი ვიცე-გუბერნატორი, 2 აზნაური, 3 მემამულე და ერთი გლეხი. — ამათში 2 კადეტია, 5 ოქტომბრისტი და 2 უკიდურესი მემარჯვენე; ხოლმში — საერობო უფროსი — პარტიის გარეშე მდგომი 2 გლეხი; პორხოვში — აზნაური, ექიმი და 2 გლეხი, — ამათში 2 კადეტია და 2 გამოურკვეველ მიმართულებისანი; ოსტაშკოვის მაზრაში — ხელმეორედ გაიმარჯვა კადეტების პარტიამ წინანდელ არჩევნების განსაზღვრების შემდეგ. მაზრაში და ქალაქში 6 ამომრჩეველი აირჩიეს, ექვსივე კადეტი. ქალაქებიდან: ხოლმში. — სასამართლოს წევრი, ეკატერინოსლავიდან — 80 კაცი, — ამათში 15 ებრაელი — რომელთაგან $^{2}/_{3}$ ზომიერია.

თემირ-ხან-შურა. სამსახურიდან დაითხოვეს რეალურ სასწავლებლის დირექტორი კონდრატოვიჩი.

განნოვერი. (გერმანია). გაიფიცა 12,000 მუშა სალითონე ქარხნებისა

ჰამბურგი. ჰამბურგის მეზღვაურთა კავშირმა რომელშიაც 2,000-ზე მეტი წევრი ირიცხება, გადასწყვიტა ხვალ დილიდან გაფიცვა დაიწყოს. ხვალ საღამოს გაიმართება კრება ყველა პარტიების მუშებისა.

ინდიანოპოლი. (ამერიკა). მუშათა ცენტრალურ კომიტეტის კავშირის მოწერილობით გაიფიცა ნახევარ მილიონზე მეტი მაღაროების მუშა. კავშირი ამბობს, გაფიცულები ვიყვნეთ, სანამ მუშებსა და მთა-მადნების მრეწველებს შორის არ გადაწყდება სადაო საკითხებიო.

პეტერბურგი გაზეთების სიტყვით, პუბლიცისტი ანენსკი ციხიდან გამოუშვეს და გადაასახლეს. 19 მარტს დაიჭირეს გაზეთ „რუს“-ის დილის ნომრები.

სენტ ეტიენი (საფრანგეთი). მთის მუშების კავშირის კრებაზე წინადადება მიეცა დელეგატებს, მოითხოვონ სამუშაო ქირაზე 2 ფრანკის მომატება, 8 საათი სამუშაო დღე, პრემიის მოსპობა და პენსიის დანიშვნა 25 წლის სამსახურის შემდეგ. თუ მრეწველები არ დააკმაყოფილებენ მუშების ყველა მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში, 23 მარტს გაფიცვა დაიწყება.

პიატიგორსკი. გენ.-გუბერნატორის ნებართვით გამოვიდა „პიატიგორსკი ლისტოკ“-ი წინანდელ სიდიდით. რედაქტორად კაბარდინი იქნა დატოვებული.

პერმი. გამოვიდა კადეტების ორგანო „კამსკი კრაი“.

20 მარტი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებად აირჩიეს თ.-აზნაურთაგან; ყაზანში — ბეკეტოვი და გვარდიის პოლკოვნიკი ნამყოფი მილოსტოვი. — ქალაქებიდან სათათბიროში აირჩიეს: იზმაილში გლეხი; კომინვში 80 ამომრჩეველი. მსხვილ მემამულეთა კრებებზე: როსიანის მაზრაში — 5 მემამულე; სიზრანში — მეპატრონე, მამასახლისი, ვაჭარი და მოხელე; ვერხნედნეპროვსკი მაზრაში — მაზრის მარშალი და გლეხი — კონსერვატორები და ორი ზომიერი ლიბერალი. მუშებმა აირჩიეს ამომრჩევლებად: სამარაში — ქალაქის წყლის სადგურზე მოსამსახურე; დონის როსტოვში — ასოთ ამწყობი — ზომიერი; იაროსლავლში — 2 პარტიის გარეშე მდგომი. რწმუნებულთა კრებაზე აირჩიეს ვოლოსტებიდან: ოდენბეში — მამასახლისი, გლეხი და ვაჭარი, მოსკოვში — 3 პარტიის გარეშე მდგომი გლეხი; კნიაგინინში — ვოლოსტის მწერალი, ეკლესიის მნათე და სოფლის სტაროსტა — ყველანი ძალზე ზომიერნი არიან; სარანსკში — 4 გლეხი — პარტიის გარეშე მდგომნი; სარაპულში — 3 ვოლოსტის მწერალი, მამასახლისი, მოხელე, ორი ხმოსანი ერობისა, 9 ვაჭარი, საერობო მასწავლებელი, მღვ. საზოგადო ბანკის დირექტორი — უმეტესობა პარტიის გარეშე სდგას და ორი უკიდურესი მემარჯვენე; იზმაილში — 4 გლეხი, ვაჭარი, სახალხო მასწავლებელი — პროგრესისტი — დანარჩენები პარტიებს არ ეკუთვნიან.

პეტერბურგი. „რუს. გოსუდარსტვო“ ამბობს: „ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს განზრახვა აქვს შეიტანოს სახელმწიფო სათათბიროში ორი პროექტი. ერთი შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და $2^{1}/_{2}$ მილიონ მან. გადადებას ხსენებულ მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად: მეორეთი განზრახულია თან და თან უმატონ ხოლმე, ყოველ 5 წლისთავში, მოხელეებს ჯამაგირს და გადადონ მილიონი მან. დაბალ მოსამსახურეთა დასახმარებლად“.

მოსკოვი. ქ. მოსკოვის მუშებმა ამომრჩეველთა არჩევნების წინასწარი კრება გამართეს მაგრამ კრებაზე მოვიდა ბოქაული. მუშებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ დამშვიდებით ისჯა-ბაასონ პოლიციის თანდასწრებით და შეადგინეს ოქმი, რომ კრება გადაიდება. — გრადონაჩალნიკმა აკრძალა ბეჭდვითი სიტყვის მუშების კავშირისა და კვირა-უქმეებზე დასვენების შესახები კრებები.

სიამი. აღმოჩნდა, რომ [illegible] ურთიერთო კრედიტის შენობის აფეთქება უნდოდათ. წინა ოთახის დერეფანში შეედოთ ყუმბარა, რომლის აბოლებული პატრუქი შეამჩნია მეკარემ, ბოროტ-განზრახველი მიიმალა.

ლანსი. გასულ ღამეს არნში პარიონის სახლში ყუმბარამ იფეთქა. არავინ არ დაშავებულა. ფუგაერსა და არნში გაფიცულთ ბარიკადები გაიმართეს, რომლებზედაც იერიშით მივიდა ჟანდარმერია. დაიჭირა ერთი გაფიცული.

პეტერბურგი. რადგანაც მოახლოვებულია პასექის დღესასწაული, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთხელ კიდევ განუმეორა გუბერნატორებსა, გრადონაჩალნიკებსა და ობერ-პოლიცმეისტერებს, მიიღონ ყოველივე ღონისძიება ებრაელების აწიოკების წინააღმდეგ და თუ, ვინიცობაა, რამე მოხდა, იმ შემთხვევაში თვითონ მათ აგონ პასუხი. მოწერილება გაუგზავნეს ადგილობრივ ადმინისტრაციას, დაუყოვნებლივ აცნობოს ხოლმე პეტერბურგში, თუ რაც მოხდება და არ დაუშალონ მეზობლებთ პირდაპირ მიმართონ ხოლმე, თუ საჭირო იქნება, პეტერბურგის მთავრობას. მინისტრისათვის ამისთანა დეპეშებისა და ცნობების მოსახსენებლად დაინიშნა 3 საკანცელარიო მოხელე, რომელნიც დღე და ღამ იმორიგებენ — ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ განუმეორა საცენზურო კომიტეტებსა და ცალკე ცენზორებს პროვინციის ცენტრებში, რომ არ შეიძლება პასუხის გებაში იქნან მიცემული ისეთ წიგნებისა და ბროშიურის ავტორ-გამომცემლები, რომელნიც ნება დართულია გამოცემული წინასწარ ცენზურის მიერ. რაც შეეხება იმას, რომ პეტერბურგსა, მოსკოვსა და ადესაში ბევრი ცენზურიანი წიგნები და ბროშიურები დაიჭირეს, ამას ადმინისტრაციის ან პროკურორების განკარგულებით სწადიან და მთავარი სამმართველო მანამდი ვერ მიიღებს ამის წინააღმდეგ ვერავითარ ზომებს, სანამ ამის შესახებ თვით სამოსამართლო პალატები და შემდეგ სენატი არ გამოსთქვამენ თავიანთ აზრს. ტყუილია გაზეთების ცნობა შესახებ იმისა, ვითომც სააგენტოს განყოფილებებში ნახევარი მილიონი მან. გაეფლანგოთ. — მსხვილ მემამულეთა კრებაზე მეტრბ. მაზრიდან აირჩიეს 4 ამომრჩეველი — ყველანი კადეტებია.

პეტერბურგი. არჩევნებმა სრულის სიწყნარით ჩაიარა. დასახლოვებითი ანგარიშით ქალაქის 147194 ამომრჩევლისაგან მონაწილეობა მიიღო 60% ზე მეტმა. იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც უნივერსიტეტებს მოუვიდათ 1905 წ. გაზაფხულის ნახევარ წლის ფულის შეუტანლობის გამო, 238,000 მან. იქნა გადადებული, საერო განათლების მინისტრმა ითხოვა მოსკოვის უმაღლეს საქალებო კურსებთან გახსნას საქიმიო [illegible] რომელნიც თავიანთის [illegible] უნივერსიტეტის საქიმიო ფაკულტეტს შეესაბამება. — საერო განათლების მინისტრს ნება [illegible] მიიღოს საშუალო სასწავლებლებში კურს დასრულებულნი უძველ ენებით, თუ მარტო ლათინურში ჩააბარებენ საჭირო კურსს და თუ დანარჩენი გავლილი საგნები გიმნაზიების კურსს შეეფერება, თუ არა და ამათშიაც უნდა ჩააბარონ ეგზამენები

პიტერმარიცბურგი (სამხრეთა აფრიკა). დახვრიტეს ყველა 12 ადგილობრივი მცხოვრები, რომელთაც საპოლიციო ინსპექტორი მოჰკლეს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქუთაისში

ალექსანდრე კოსტავას სავაჭრო გადავიდა ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის სახლებში, ქალაქის აფთიაქის გვერდით, სადაც 15 მარტიდან დაიწყება დიდი იაფი დამზადებული ტანისამოსის გასყიდვა. (5—ქ.—5)

სვირის ღვინო

გავხსენი ვაჭრობა სვირის საუკეთესო ღირსების ღვინოებისა ბოთლი 20 კაპეიკიდან 40 კაპეიკამდე. ვედროობით მორიგებით. დიდუბეში რკინის გზის სადგურის პირდაპირ, საკუთარ სახლში. პატივცემით ვ. ხომასურიძე. (10—3)

ამ წლის 25 მარტს გამოვა

ყოველ კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ნობათი“

სრულის პროგრამით.

ფასი გაზეთისა ერთის წლით 5 მან., 25 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება მხოლოდ 3 მანეთად. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში — 1. „ნობათის“ რედაქციაში (ორბელიანის ქ., № 6); 2. ბიურო „სატრუდნიკ“-ში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. ეზოში); 3. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბ. შ. ქუჩუკაშვილთან. ქ. ქუთაისში — ბ. ისიდორე კვიცარიძესთან (ამხანაგობა „კოლხიდა“). ბათუმში — გერასიმე კეკელიძის გაზეთის ბიუროში.

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგილ-მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას, — ყველაფერს, რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე ტფილისში, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567, (30—18)

გ. ხნეუკოვს.

სწრაფ-მბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.